სად "ჟონავს" სომხეთის გაზი A2

"მოქკავშირელთა" რწმენით, "ხელისუფლება ისტორიული სიმართლის მატარებელია" A2

ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 22 დეკემბერი, 2002 წელი. №203

ფასი 50 თეთრი

„უნდა მიხვდე, საქმის კეთება რომ არ შეგიძლია და წახვიდე"

ლევან ხარბედლიანის ფოტო

პრეზიდენტის მოლოდინში.

გუშინ სახელმწიფო კანცელარიის მეთორმეტე სართულზე უცნაური სიტყვები ისმოდა: "სხადნიაკი", "ობშიაკი", "პალაჟენიის დაჭერა" და ა.შ. - ეროვნული უშიშროების საბჭოსა და იუსტიციის საბჭოს ერთობლივი სხდომის მონაწილენი ქვეყანაში კრიმინალური ვითარების გაუარესების მიზეზებისა და მდგომარეობის გამოსწორების გზების შესახებ მსჯელობდნენ.

გიორგი ასანიშვილი

პრეზიდენტი შევარდნაძე დამნაშავეთა სამყაროს გააქტიურებით შეშფოთებულია. შექმნილ მდგომარეობას ის "საგანგაშოს" უწოდებს და მას იმ დროს ადარებს, როდესაც ქვეყანაში შეიარაღებული ბანდები დათარეშობდნენ. მეტიც: სახელმწიფოს ხელმძღვანელი ვარაუდობს, რომ მომავალში სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდება. პრეზიდენტი თავის პესიმისტურ მოსაზრებას იმაზე ამყარებს, რომ არჩევნები მოახლოვდა და ქულების ჩაწერის სურვილი ზოგიერთ პოლიტიკურ ძალას კრიმინალებთან ალიანსისკენ უბიძგებს.

ჯოხს ორი ბოლო აქვს - დამნაშავეობის ზრდას სამართალდამცავთა სისუსტეც განაპირობებს. გუშინდელ სხდომაზე სწორედ ამ ფაქტორზე გაამახვილა ყურადღება ანტიკორუფციული საბჭოს მდივანმა კახა უგულავამ.

"მოჩვენებითი სტატისტიკის, გამოძიებისა და რეფორმების ფონზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამართალდამცავ ორგანოებს არ სურთ ან აღარ შეუძლიათ, წინ აღუდგნენ სახელმწიფოში კრიმინალის მომძლავრებას. ხდება უარესი: სამართალდამცავი ორგანო, ხშირ შემთხვევაში, ჩართულიც კი არის კრიმინალურ საქმიანობაში და, ცხადია, არაფრად სჭირდება აწყობილი სისტემის რეფორმირება", - "თორმეტკაცას" შეფის ეს სიტყვები დისონანსად გაისმა იმ გამოსვლათა ფონზე, რომლებშიც საუბარი იყო იმაზე, "თუ შიშველი ხელებით როგორ ებრძვიან პოლიციელე-

გაგრძელება A2 გვერდზე

„ეი-ი-ეს თელასი„ პირობის შესრულებას აპირებს

ორშაბათიდან "ეი-ი-ეს თელასი" აბონენტებთან ინდივიდუალური სამომხმარებლო ხელშეკრულებების გაფორმებას იწყებს

ეთერ მამულაშვილი

დედაქალაქის ყველა რაიონის ბიზნეს-ცენტრებში ხელშეკრულებების ასლების გადაგზავნა ამ კვირაში დასრულდება. უხარისხო ელექტროენერგიის მიწოდების, ოცდაოთხსაათიანი გრაფიკის დარღვევისა და სხვა პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თითოეულ მოქალაქეს საშუალება ექნება, ამერიკულ კომპანიას სასამართლოში უჩივლოს.

კვლავ ღიად რჩება რამდენიმე საკითხი, რომლის გაურკვევლობა თავის დროზე სამომხმარებლო ხელშეკრულების გაფორმებას აფერხებდა. კერძოდ, როგორ უნდა მოიქცეს ამერიკული კომპანია იმ შემთხვევაში, თუკი მოქალაქე უარს ამბობს "ეი-ი-ეს თელასის" მომსახურებაზე და არ აფორმებს ხელშეკრულებას. "ეი-ი-ეს თელასში" აცხადებენ, რომ ამ საკითხის დასარეგულირებლად მათ ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას მიმართეს, თუმცა პასუხი ჯერაც არ მიუღიათ. სემეკში გვითხრეს, რომ ეს საკითხი მარეგულირებელი კომისიის გადასაწყვეტი არ არის.

"ჩვენ გავუწიეთ სათანადო კონსულტაციები "ეი-ი-ეს თელასს", როცა ის ხელშეკრულების პროექტზე მუშაობდა. მომხმარებელთან ხელშეკრულებას ელექტროგამანაწილებელი კომპანია დებს. ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია რა შუაშია, ვერ ვხვდები? საკითხი იმ ფორმით გადაწყვიტოს, რა

გაგრძელება A4 გვერდზე

პოლიტიკა

"მემარჯვენეთა" სწორება მარცხნივ

"პარტიათა აბსოლუტური უმრავლესობა მემარჯვენეა, ამ დროს კი ელექტორატი მემარცხენე გვყავს. რა უნდა გავაკეთოთ ასეთ სიტუაციაში, როგორ განვსაზღვროთ, რა არის რეალური მემარჯვენეობა, როგორ მოვახერხოთ ელექტორატის შემობრუნება?"

A2

ამინდი

თბილისი	3
ქუთაისი	6
ბათუმი	7
სოხუმი	4
ფოთი	6
თელავი	3
ზუგდიდი	5
გორი	1
ახმეტა	2
ჭიათურა	3
გაგრა	4
სამტრედია	6

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1400
ევრო	2.1950
გირვანქა სტერლინგი	3.4296
რუბლი	0.0672

გიორგი კანდელაკი მსოფლიო ჩემპიონია

გიგა გურასაშვილი

გიორგი კანდელაკი.

პირველ ქართველ პროფესიონალ მოკრივეზე გიორგი კანდელაკზე საუბრისას ხშირად გაიგონებდით, ამდენი სარეიტინგო ბრძოლების შემდეგ ნამდვილ საჩემპიონო ორთაბრძოლას როდის გამართავსო. აჰა, გამართა და პირველი გამარჯვებაც მოიპოვა. გიორგი კანდელაკმა კრივის მსოფლიო კავშირის (WBU) მსოფლიო ჩემპიონის სარტყელი შემოიკრა. ნამდვილი ორთაბრძოლისა და ყბების ღრჭიალის მოწმე სანკტ-პეტერბურგი გახდა. გუშინდელი დღე ქართული სპორტისთვის მართლაც უმნიშვნელოვანესი გამოდგა. კრივში საქართველოდან პირველმა მსოფლიო ჩემპიონმა გიორგი კანდელაკმა ასეთივე წარმატებას პროფესიონალურ რინგზეც მიაღწია. კანდელაკის გამარჯვება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მან რუსეთში რუსს საკუთარ მოედანზე სძლია. კანდელაკის მეტოქე ვასილევი კი მართლაც არ გახლდათ ხელწამოსაკრავი. მას ამტანიანობით ახასიათებდნენ. ქართველ მოკრივესთან ბრძოლაში ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუმცა აშკარაა, კანდელაკის ვარიანულ მუშტს ვასილევმა ველარ გაუძლო. კანდელაკის აშკარა უპირატესობამ თავისი გაიტანა. რუსი ქართველს მე-12 რაუნდში ტექნიკური ნოკდაუნით დანებდა.

სენსაციური შედეგი კიბოს მკურნალობაში

ზაზა ფაჩუაშვილი

იტალიის ქალაქ პავიოს წმინდა მათეს სახელობის ჰოსპიტლის ქირურგებმა კიბოს მკურნალობის ახალ მეთოდს მიაგნეს და სენსაციური შედეგიც მიიღეს.

მეთოდის უნიკალობა იმაში მდგომარეობს, რომ ორგანიზმიდან იღებენ დაავადებულ ორგანოს და მას ცალკე მკურნალობენ. კვეთენ სიმსივნეს და ქიმიოთერაპიის განსაკუთრებულ კურსს უტარებენ. შემდეგ კი გაჯანსაღებულ ორგანოს ისევ თავის ადგილზე აბრუნებენ. მეცნიერთა განცხადებით ეს მეთოდი ქიმიოთერაპიის დიდი დოზით გამოყენების საშუალებას იძლევა, და ცხადია, სრულებით არ აზიანებს მთლიან ორგანიზმს.

ექსპერიმენტულ ოპერაციაში 48 წლის პაციენტი მონაწილეობდა, რომელსაც სიმსივნით დაავადებული ღვიძლი ჰქონდა. ოპერაციის შემდეგ სიმსივნე აღარ განვითარებულა. ამჟამად ახალი ექსპერიმენტისთვის ექვს მოხალისეს ამზადებენ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ქირურგიის ეროვნული ცენტრის დირექტორს აკადემიკოს ბაადურ მოსიძეს:

"ეს არის შემთხვევა, როდესაც ღვიძლი სრულიად გამოთიშულია სისხლის მიმოქცევიდან და მანიპულირება ხდება მშრალ ორგანოზე გვერდით მაგიდაზე. გამოიყენება ოპერაციის სხივური ან ოპერაციული მეთოდი, რომლის შემდეგ ორგანო ჩაეკერება თავის ადგილზე.

ჩვენ წელს ორი ასეთი ექსპერიმენტი ჩავატარეთ ძაღლზე. გამოვიყენეთ მშრალ ღვიძლზე ზემოქმედების ოპერაციული მეთოდი და დამაკმაყოფილებელი შედეგები მივიღეთ."

ენერგეტიკოსები ქუჩაში გამოდიან

მაია ურუშაძე

"ეი-ი-ეს მტკვრის", "საქართველოს გაერთიანებული ენერგოსისტემის", "ენერგოგენერაციის", სხვადასხვა ჰიდროელექტროსადგურებისა და ენერგეტიკული ობიექტების თანამშრომლები სახელმწიფო კანცელარიასთან საპროტესტო აქციის გამართვას აპირებენ. ისინი საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ანგარიშიდან ყადაღის ახსნას მოითხოვენ. მილიონ 200 ათასი ლარის ოდენობის დავალიანების გამო, იუსტიციის სამინისტროს სააღმსრულებლო დეპარტამენტმა ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ანგარიშს ყადაღა ათი დღის წინ დაადო. ბუნებრივია, ამის გამო ბაზრის ანგარიშზე ფინანსური ოპერაციები შეწყდა, რამაც ენერგეტიკის კუთვნილი თანხების მოძრაობის შეფერხება გამოიწვია.

იუსტიციის სამინისტროს სააღმსრულებლო დეპარტამენტი საბითუმო ბაზრის ანგარიშზე დადებული ყადაღის მოხსნას მანამდე არ აპირებს, სანამ საოლქო სასამართლო შესაბამის გადაწყვეტილებას არ მიიღებს. საქმის განხილვას სასამართლო 27 დეკემბერს გეგმავს. პროცესზე უნდა განისაზღვროს მესამე პირებისთვის გადაცემული ვალების დაბრუნების კონკრეტული სქემა და ვადები. კერძოდ, "თბილსრესმშენმა" "თბილსრესისგან" "გადაიბარა" - საბითუმო ბაზრის მილიონ 200 ათასი ლარის ოდენობის, სადაზღვევო კომპანია "ნაბათმა" კი "ენერგოგენერაციისგან" 100 ათასი ლარის ოდენობის დავალიანება.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 რეკლამა A4 ინფორმაცია

B2 სპორტი B3 განცხადებები B4 სხვადასხვა

სად "ჟონავს" სომხეთის გაზი

ყაზახეთის გაზსადენებზე მომხდარი ავარიისა და თავად რუსეთში გაზის მოხმარების ზრდის მიზეზით, "იტერამ" საქართველოს ბუნებრივი აირის მოწოდება 250 ათასი კუბური მეტრით შეუმცირა. გაზის ნაკადის შემცირებას წინ უსწრებდა სომხეთის პრემიერ-მინისტრის ანდრონიკ მარქარიანის საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის სახელზე გამოგზავნილი პროტესტი. ჯორბენაძისთვის გამოგზავნილ ოფიციალურ წერილში სომხური მხარე ჩიოდა, რომ საქართველოს გაზის კორპორაცია მათ იმაზე ნაკლებ გაზს აწვდის, ვიდრე ეკუთვნით. ამის გამო სომხეთის ენერგეტიკის სამინისტრომ საქართველოს ელექტროენერგიის იმპორტზე უარი განუცხადა.

მაია ურუშაძე

საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციაში სომხეთისთვის კუთვნილი გაზის არმიწოდებას შემდეგნაირად ხსნიან: **" გაზი არც მოპარული არ არის და არც გაყიდული. უბრალოდ, სომხეთის ნაცვლად, ბუნებრივი აირი ყაზბეგმა, ქუთაისმა და რუსთავმა მიიღო. გაკეთდა განაცხადი იმის თაობაზე, რომ მოსკოვმა გაზარდოს მოწოდება, ვინაიდან "თბილგაზს" არ ყოფნის გაზი, მაგრამ ჯერჯერობით, "იტერას" ამის გაკეთება არ შეუძლია,"** – აცხადებს გაზის კორპორაციის პრეზიდენტის მოადგილე ირაკლი კიზირია. მისი თქმით, "თბილგაზის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავა პერმანენტულად ითხოვს ქალაქისთვის წნევის გაზრდას, მაგრამ ამის რესურსი ამჟამად არ არსებობს.

"მე არაერთხელ მითქვამს, რომ, რუსეთიდან შემოსვლის შემდეგ, გაზი საქართველოს ტერიტორიაზე იკარგება და სომხეთამდე არ აღწევს, - შეგვახსენა "იტერას" შვილობილი "საქგაზის" გენერალურმა დირექტორმა ლეონიდ დეიკალომ, - **საქართველოს, როგორც წესი, 450 ათასი კუბური მეტრით მეტი გაზი მიაქვს, ვიდრე ეკუთვნის. ამის მიზეზი მარტივია: მიუხედავად თბილისში მომხმარებელთა რაოდენობის ზრდისა, "თბილგაზი" განაცხადს ძველი მოთხოვნის მიხედვით აკეთებს, ეს კი ქვეყანაში გაზის ხელოვნურ დეფიციტს იწვევს."**

საპირისპიროს აცხადებს "თბილგაზის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავა. **"მე ახლა იმაზე 200 ათასი კუბური მეტრით ნაკლებ გაზს ვიღებ, ვიდრე განაცხადში მიწერია. დეიკალომ კი მითხრა, ყაზახეთის ხაზზე გვაქვს პრობლემები, 36 მილიარდის ნაცვლად, 20 მილიარდს ვიღებთ და, ამიტომ, სამშაბათამდე საჭირო წნევით თქვენც ვერ მოგაწვდითო,"** – გვაცნობა ცაავამ და დასძინა, რომ "თბილგაზთან" დაკავშირებული პრობლემები მისი სტატუსის გარკვევამდე არ უნდა გვიკვირდეს.

"უბედურება ისაა, რომ ჯერ კიდევ არ ხერხდება გაზის სექტორის კოორდინირება და პასუხისმგებლობის საკითხი კვლავ გაურკვეველი რჩება," – წუხს "იტერას" წარმომადგენელი თამაზ პატარიძე.

საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია ირწმუნება, რომ, რუსეთიდან გაზის მოწოდების მატებისთანავე, სომხეთს მათთვის განკუთვნილ გაზს სრული მოცულობით მიაწვდის. მანამდე კი, როგორც ჩანს, სომხეთის პროტესტმა გაჭრა და კორპორაციამ "თბილგაზს" უარი უთხრა ქალაქში არსებული გაზის დეფიციტის დაფარვაზე, რასაც ბოლო 20 დღის განმავლობაში სომხეთისათვის განკუთვნილი გაზის ხარჯზე ახორციელებდა. შედეგად, ბუნებრივი აირის გარეშე დარჩა თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი. სხვათა შორის, გახშირებული ავარიების გამო, ქალაქის ზოგ უბანს გაზი მანამდეც არ მიეწოდებოდა. არის თუ არა რუსეთის მხრიდან გაზის ნაკადის შემცირება დაკავშირებული "საქგაზის" ფინანსური ჯაჭვიდან ამოგდებასთან, ძნელი სათქმელია, მით უმეტეს, რომ "თბილგაზსა" და "იტერას," "საქგაზის" გვერდის ავლით, არავითარი დოკუმენტი არ გაუფორმებიათ.

მოკლედ

თბილისი. იანვრის ბოლოს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის გაორი-ს სამეთვალყურეო საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოში ბიზნესის გაგრძელების შესაძლებლობის შესახებ. ამის თაობაზე კავკას-პრესთან საუბრისას საქართველოს ნავთობისა და გაზის მარეგულირებელი სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი ითონიშვილმა განაცხადა.

ამერიკული ქარხნის ბედი დამოკიდებულია იმაზე, მოიხსნება თუ არა აქციზური გადასახადი აზერბაიჯანიდან შემოტანილი ნაფტის იმპორტზე, რაც აუცილებელია ბენზინის წარმოებისათვის. ამ დროისათვის, არარენტაბელობის გამო ქარხანა გაჩერებულია.

მფლობელები ქარხნის დემონტაჟით და მისი სხვა რომელიმე ქვეყანაში გადატანით იმუქრებიან, სადაც ბენზინის წარმოება ძვირი არ დაჯდება. ***კავკას-პრესი.***

■ ■ ■

თბილისი. ქონების მართვის სამინისტრო, გაუქმების საშიშროების მიუხედავად, მკაცრად ითხოვს სახელმწიფო სააქციო საზოგადოებებისა და შპს-ების დირექტორებისგან საწარმოთა განვითარების ბიზნეს-გეგმების წარმოდგენას.

როგორც კავკას-პრესს ქონების მართვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის უფროსმა ოთარ სირაძემ უთხრა, გუშინ სამინისტროში რეგიონული თათბირის დროს ამის შესახებ მინისტრმა სოლომონ პავლიაშვილმა განაცხადა.

სირაძის ინფორმაციით, თათბირს სამინისტროს დაქვემდებარებული რეგიონული ორგანოებიდან 50-მდე ხელმძღვანელი ესწრებოდა, რომლებმაც წლიური ანგარიშები წარმოადგინეს. სირაძის განცხადებით, ანგარიშის მიხედვით რეგიონულმა ორგანოებმა ბიუჯეტის პარამეტრები 90 პროცენტით შეასრულეს.

მიუხედავად იმისა, რომ უწყების გაუქმება დღის წესრიგში დგას, სამინისტრო მკაცრ პოლიტიკას ახორციელებს იმ საწარმოთა ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც წარმატებით ვერ ასრულებენ ფინანსურ წელს. "ბოლო დღეების განმავლობაში სამინისტრომ 5 საწარმოს დირექტორი გაათავისუფლა, საერთოდ წლის განმავლობაში კი 117 საწარმოს დირექტორი მოხსნა", - განაცხადა სირაძემ. ***კავკასპრესი.***

■ ■ ■

თბილისი. ედუარდ კოკოითი ქართველ სამართალდამცველებს კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლის მეთოდებს უწუნებს. დეკემბერში ორი ქართველი მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდეგ, ცხინვალი თბილისისაგან კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში გააქტიურებას ელოდა. მაგრამ იმის გამო, რომ ოსური მხარის ინიციატივა თბილისში შეუმჩნეველი დარჩა, შესაძლოა, ცხინვალმა შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება, ცხინვალის ციხეში მყოფი კიდევ ორი ქართველი დამნაშავის გათავისუფლების თაობაზე. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. 25 დეკემბერს უზენაეს სასამართლოში შედგება ხუთი ჩეჩენი პატიმრის სარჩელის პირველი მოსმენა. ჩეჩენი პატიმრები: ბაიმურაზოვი, ხანოევი, მირჟოევი, ისაევი და უსმანოვი ამჯერად მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებენ. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. გენერალური პროკურატურა გუდერმესში დაკავებული ორი ქართველის საქართველოში ექტრადირებისთვის საჭირო მასალებს მოსკოვში გასაგზავნად ამზადებს. ჩეჩნეთში დაკავებულები 1998 წლის 9 თებერვალს თბილისში საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტში არიან ბრალდებულები.

ამ ბრალდებით ძებნილი კიდევ 5 პირი რუსეთის ტერიტორიაზე იმალება. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ სერგეი ფრიდინსკიმ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ საქართველოს არ აქვს საფუძველი, მისცეს თავშესაფარი ბოევიკებს. "ეს პირები, რუსი სამართალდამცველების მიერ, პოლიტიკური მოტივით კი არა, კრიმინალის ჩადენისთვის იძებნებიან," - თქვა ფრიდინსკიმ. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტი ფლობს სერიოზულ ინფორმაციას ქვეყანაში ვითარების გამწვავებისა და დესტაბილიზაციის საფრთხის შესახებ. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ქვეყანაში შეიქმნა მძიმე კრიმინოგენული ვითარება. პრეზიდენტმა ძალოვნებს თავიანთ სტრუქტურებში წესრიგის დამყარების დავალება მისცა. "ხშირად სამართალდამცველები თავად უწყობენ ხელს დამნაშავეთა სამყაროს," - განაცხადა მან. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. გენერალური პროკურორის ნუგზარ გაბრიჩიძის ინფორმაციით, მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ყველა სახის დანაშაული, ხოლო გახსნის მაჩვენებელი ძალიან დაბალია. მიმდინარე წელს ჩატარდა ანტიკრიმინალური ოპერაციები, რაც წესრიგის დასამყარებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. **"კავკასპრესი"**

„მემარჯვენეთა" სწორება მარცხნივ

თამარ ხორბალაძე

"პარტიათა აბსოლუტური უმრავლესობა მემარჯვენეა, ამ დროს კი ელექტორატი მემარცხენე გვყავს. რა უნდა გავაკეთოთ ასეთ სიტუაციაში, როგორ განვსაზღვროთ, რა არის რეალური მემარჯვენეობა, როგორ მოვახერხოთ ელექტორატის შემობრუნება?" – ეს იყო ძირითადი კითხვა რომელსაც პასუხი ვერ მოუძებნეს ნეო-ლიბერალთა ინიციატივით გამართული მრგვალი მაგიდის მონაწილე მემარჯვენე პარტიათა წარმომადგენლებმა. შეხვედრა გუშინ, საქართველოს დიპლომატიურ აკადემიაში გაიმართა და მასში მონაწილეობა "ნაციონალებმა": დავით ბერძენიშვილმა, ივლიანე ხაინდრავამ, ბესო ჯუღელმა, რომან გოცირიძემ, "გაერთიანებულმა დემოკრატებმა": ზურაბ ცქიტიშვილმა და ვასილ მაღლაფერიძემ, "მრეწველებმა" - ზურაბ ტყემალაძემ, გოგი თოფაძემ, `"აღორძინებიდან", ნოდარ ჯავახიშვილმა და ნეოლიბერალებიდან გურამ მამულიამ და სოსო ცინცაძემ მიიღეს. შეხვედრაზე ითქვა რომ **"უნდა მოხდეს ძალების კონსოლიდირება."** აღინიშნა, რომ "მემარჯვენეების" დიდ ნაწილს მემარცხენე ქცევები შეეპარა (სხვათა შორის, დავით ბერძენიშვილმა თავადაც კი აღიარა, რომ ამ ბოლო დროს მის რიტორიკაშიც შეიმჩნევა დღევანდელი სოციალური შეკვეთის ადეკვატური ტერმინები).

ბესო ბაბალიშვილის ფოტო

"მრგვალი მაგიდის" მონაწილეები დიპლომატიურ აკადემიაში.

მრგვალი მაგიდის მონაწილეთა განცხადებით, სადღეისოდ ნოყიერი ნიადაგი არსებობს ქარიზმატული ლიდერის გამოსაჩენად, რომელსაც, შესაძლოა, ხალხი მართლაც გაჰყვეს. ზოგმა მონაწილემ სცადა კიდეც, ასეთი ქარიზმატული ლიდერის სავარაუდო კანდიდატურაზე ემსჯელა, მაგრამ დისკუსიის ამ მიმართულებით გაგრძელებასა და კონკრეტული სახელების დასახელებას შეხვედრის ორგანიზატორები წინ აღუდგნენ.

შეხვედრის ბოლოს გამოითქვა მოსაზრება, რომ მრგვალ მაგიდასთან შეკრებებმა, შეიძლება, სადისკუსიო კლუბის სახე მიიღოს და მომავალში ასეთ შეხვედრებზე უფრო კონკრეტული საკითხები დაისვას განსახილველად.

„უნდა მიხვდე, საქმის კეთება რომ არ შეგიძლია და წახვიდე"

პირველი გვერდიდან

ბი კბილებამდე შეიარაღებულ დამნაშავეთა სამყაროს და ამისთვის მათ მადლობასაც კი არავინ ეუბნება".

საერთოდ, კობა ნარჩემაშვილის, ვალერი ხაბურძანიასა და ნუგზარ გაბრიჩიძის მოხსენებებში ნაკლებად ჩანდა შექმნილი ურთულესი კრიმინალური მდგომარეობის რეალურად შეფასების სურვილი. მათი გამოსვლების კონტექსტი დაახლოებით ასეთი იყო: ნახეთ, როგორი პროფესიონალები ვართ, რამდენს ვმუშაობთ და რა ჩვენი ბრალია, რომ ასეთი ვითარებაა. ეს უფრო ქვეყანაში შექმნილი საერთო მდგომარეობის ბრალია.

ცხადია, სამართალდამცავ სტრუქტურათა ხელმძღვანელების ლაღი და მაჟორული ტონი იმანაც განაპირობა, რომ მათთვის წინასწარვე იყო ცნობილი - იმ დღეს პრეზიდენტი საკადრო ცვლილებებს არ გეგმავდა და ამდენად, მათ თანამდებობებს საფრთხე არ ემუქრებოდა. ამიტომაც მათთვის ორმაგად მტკივნეული გამოდგა ის ფაქტი, რომ მაშინ, როდესაც ქვეყნის პირველი პირი "ხმას არ იღებს", "ვიღაც" ანტიკორუფციონერი მათ კრიტიკას ბედავს. ჰოდა, უგულავას მისამართით უმალ გაისმა საპასუხო ბრალდებები.

შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, "ზოგი ისე მსჯელობს პოლიციაზე, რომ მასზე წარმოდგენაც არა აქვს და ამიტომ მათ მსჯელობებს წითელ ზოლად გასდევს საქმეში ჩაუხედაობა". ნარჩემაშვილი აცხადებს, რომ ფსევდორეფორმატორობაში სხვების დადანაშაულება მასაც შეუძლია და საერთოდ, ვისაც პოლიციის დანგრევა უნდა, მას სახელმწიფოს დანგრევაც სურს.

ანტიკორუფციული ბიუროს მდივნის გარდა, ნარჩემაშვილის კრიტიკის სამიზნედ გუშინ სასამართლო ხელისუფლებაც იქცა: შს მინისტრმა საჯაროდ გამოთქვა უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიციელების მიერ დაკავებულ, მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილ პირებს თემიდის მსახურები ათავისუფლებენ.

სხდომის მონაწილეებს სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ დამნაშავეთა სამყაროს მეტად საინტერესო კლასიფიკაცია შესთავაზა და თავის გამოსვლაში რამდენიმე ცნობილ ფიგურაზე გააკეთა მინიშნება. **"ოლიგარქიული ჯგუფი ყიდულობს ყველას და ყველაფერს: არქიტექტურულ ნაგებობებს, პრესას, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსებს... მის წარმომადგენლებს საეჭვო გზით დაგროვილი კაპიტალი აქვთ და ართულებენ ურთიერთობას იმ ქვეყანასთან, საიდანაც გამოაძევეს და რომლის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ამჟამად იძებნებიან",** - ერთობლივი სხდომის მონაწილეებს არ გასჩენიათ კითხვა, თუ ვისზე იყო საუბარი: ეს გვარის დასახელების გარეშეც ნათელი იყო.

"ცნობილი ოლიგარქის" გარდა, ვალერი ხაბურძანიას გამოსვლაში პარტიზანული რაზმის - "ტყის ძმების" ხელმძღვანელსაც დაეთმო ადგილი. გალის რაიონის გამგებლის მოადგილედ დათო შენგელიას დანიშვნის მიზანშეწონილებას უშიშროების მინისტრი საეჭვოდ მიიჩნევს და იქვე დასძენს, რომ ამ რაზმის ზოგიერთი ლიდერი ფერადი ლითონების უკანონო ბიზნესს ეწევა...

ძნელი სათქმელია, ერთობლივი სხდომის დაგეგმვისას რა მიზანი დაისახეს მისმა ორგანიზატორებმა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ გამომსვლელებს მხოლოდ პრობლემების დაფიქსირება ევალებოდათ, ხოლო ამ პრობლემების გადაჭრაზე უნდა ეზრუნათ ვიღაც სხვებს, ვინც გუშინ კანცელარიის მეთორმეტე სართულზე არ იმყოფებოდა.

თუმცა მსგავს თავყრილობებზე, როგორც წესი, ფორმალობის დასაცავად, მდგომარეობის გამოსწორების გზებიც ისახება ხოლმე. გამონაკლისი არც გუშინდელი სხდომა ყოფილა: მობილურ ტელეფონებზე მოსმენის უფლების დაკანონება, მოქალაქეთა რეგისტრაციაზე კონტროლის განხორციელება, საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება - სამართალდამცავები ამ ხერხებით აპირებენ ახლო მომავალში საქართველოში კრიმინალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

და კიდევ: **"საჭიროა მკაცრი კანონები, კანონმდებლობის სიმკაცრე საქართველოში არ იგრძნობა",** - ჩამონათვლის შედგენაში პრეზიდენტმაც მიიღო მონაწილეობა.

ასეთი ფორმალური მიდგომის ფონზე, უკვალოდ დაიკარგა სამართალდამცავი სტრუქტურების ხელმძღვანელთა მისამართით კახა უგულავას ნათქვამი: **"კრიმინალურ ელემენტებთან სამართალდამცავი ორგანოების შეზრდა უკვე ფაქტია. სამწუხაროა, რომ უწყებათა ხელმძღვანელები პრობლემას ვერ ხედავენ. ასეთ დროს კი იმას მაინც უნდა მიხვდე, რომ, რადგან საქმის კეთება არ შეგიძლია, საჭიროა, წახვიდე".**

უგულავასგან განსხვავებით, შევარდნაძეს "წასვლა-არდაშლის" სადღეგრძელოს შესმა ჯერ ნაადრევად მიაჩნია: როგორც თავად შეგვახსენებს, არჩევნებამდე ხომ დრო კიდევ დარჩა!

"მოქკავშირელთა" რწმენით, "ხელისუფლება ისტორიული სიმართლის მატარებელია"

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ "მოქალაქეთა კავშირის" თბილისის ორგანიზაციის "დარბაზმა" მედიასთან პირველი საჯარო შეხვედრა მოაწყო. "მრგვალი მაგიდის" მთავარ მიზანს "პარტიასა და საზოგადოებას შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენის გზების ძიება" და "მოქკავშირის" ძველი ხელმძღვანელობის კრიტიკა წარმოადგენდა.

ლევან ხაჩოლავლიანის ფოტო

"მოქკავშირის" თბილისის ორგანიზაციის - "დარბაზი" საზოგადოებასთან ჩატეხილი ხიდის პრობლემამ შეაწუხა.

დარბაზის ერთ-ერთი წევრის – ზაზა ფირალიშვილის განცხადებით, **"ამ ორგანოს შექმნა "მოქალაქეთა კავშირის" აქტივისტების შინაგანი მრწამსის შედეგია. შედეგი იმის შეგრძნებისა, რომ ხელისუფლება არის მნიშვნელოვანი ისტორიული სიმართლის მატარებელი და მას მხარდაჭერა, თანადგომა და თანაგრძნობა სჭირდება".** მეტიც – "დარბაზის" აქტივისტთა მტკიცებით, **"საქართველო ახლა ყოფნა-არყოფნის ზღვართან დგას და საზოგადოებასთან დაახლოება, მასთან დიალოგის დაწყება აუცილებელია".**

გუშინვე "დარბაზის" წევრებმა გაავრცელეს მიმართვა, რომლის მთავარი პათოსი ასე ჟღერს: **"მოვუწოდებთ ყველას, როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს, მასმედიას, რომ მთელი ძალისხმევა სამოქალაქო თანხმობისა და თანამშრომლობის მიღწევისაკენ მიმართონ. ნებისმიერი მცდელობა, ქვეყნის მომავლის მიმართ უიმედობის განწყობები გაბატონდეს, ადამიანებმა შიშისა და გამოუვალობის ატმოსფეროში იგრძნონ თავი და დაივიწყონ ისტორიული მომენტის მნიშვნელობა, ცალსახად უნდა შეფასდეს, როგორც ეროვნული ამოცანებისა და მიზნების ღალატი.".**

"მოქკავშირელები" წუხან, რომ მმართველ პარტიასა და მოსახლეობას შორის გაუცხოების ხარისხი საკმაოდ მაღალია. თუმცა, იქვე დასძენენ, რომ ამის **"მთავარი მიზეზი ჟვანიას გუნდის მიზანმიმართული მოქმედებები იყო, რომელმაც შეგნებულად ჩამოაცილა პარტიას საზოგადოების საუკეთესო ნაწილი და ასპარეზი არაპროფესიონალებსა და დილეტანტებს დაუთმო".**

გუშინდელი შეხვედრის უმთავრესი დრო რამდენიმე დღის წინ პარლამენტში განვითარებულ მოვლენებს დაეთმო. პარტიის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, პარლამენტარმა ზეზვა ღუღუნიშვილმა სახელისუფლებო ფრაქციების დემარშის მიზეზად პარლამენტის თავმჯდომარის არაკონსტიტუციური გადაწყვეტილება დაასახელა და ნინო ბურჯანაძე კონსტიტუციისა და რეგლამენტის დარღვევაში დადანაშაულა, როცა ამ უკანასკნელმა **"უარი თქვა პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივის დაუყოვნებლივ განხილვაზე".**

"მოქკავშირელებმა" ნავთობსადენის პროექტის ჩაშლის მცდელობებზეც ისაუბრეს, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი და დღეს საქართველოში შექნილ ვითარებაზე პასუხისმგებლად სწორედ ისინი დაასახელეს. ჟვანიასა და სააკაშვილის კრიტიკის დროს განსაკუთრებით აქტიურობდა ზვიად გამსახურდიას მთავრობის წევრი, ამჟამად "მოქკავშირთან" დაახლოებული ნუგზარ მოლოდინაშვილი, რომელიც ამ შეხვედრაში "პოლიტოლოგის სტატუსით" მონაწილეობდა.

დარბაზის წარმომადგენლებმა პოლიტიკური ოპონენტების პოპულისტური საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ დასტურად "დემოკრატების" ინიციატივა დაასახელეს, რომელიც მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდას გულისხმობს.

ეკონომისტ მედეა გოცირიძის განცხადებით, ეს არის ყოვლად გაუმართლებელი და დაუსაბუთებელი ინიციატივა, რომლის განხორციელება დღეს შეუძლებელია.

უახლოეს მომავალში "მოქკავშირელები" პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზში ეკონომიკური ფორუმის გამართვას აპირებენ, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ ცნობილმა მეცნიერებმა და ეკონომისტებმა. ამ ფორუმის მთავარი მიზანი, სხვა საჭირბოროტო საკითხების განხილვასთან ერთად, **"დემოკრატების" ინიციატივის უსაფუძვლობის დამტკიცება"** უნდა გახდეს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

ი ყ ა ვ ი თ ხ ა ზ ზ ე !

დ ა მ ო ი გ ე თ მ რ ა ვ ა ლ ი პ რ ი ზ ი ჯ ე ო ს ე ლ თ ა ნ ე რ თ ა ლ !

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:
- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

ჯ ე ო ს ე ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი პ ი რ ვ ე ლ ი **GSM**-ო პ ე რ ა ტ ო რ ი ა ?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:

- კი -დარეკეთ ნომერზე 111**
- არა-დარეკეთ ნომერზე 222**



ჯ ე ო ს ე ლ ი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და აღმაშენებლის 146 ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0.288 ლარი

ს ა ბ ა ხ ა ო ნ ლ ო ფ ვ ა ს ლ ა კ ლ ე ბ ა ჯ ე ო ს ე ლ შ ი !

აბონენტთა საყურადღებოდ!
ა.წ. 11 დეკემბრიდან თქვენ შეგიძლიათ უფასოდ გადაიფორმოთ ნომერი. იჩქარეთ!!! აქცია ძალაშია 2003 წლის 26 იანვრამდე.

უცხოეთი

ახლო აღმოსავლეთის კრიზისის დარეგულირების გეგმას „ოთხეულმა„ ხელი არ მოაწერა

ლევან ღირსიაშვილი

ვაშინგტონში "ახლო აღმოსავლეთის ოთხეულის" შეხვედრა გაიმართა. როგორც ცნობილია, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირებაზე მსოფლიოს უძლიერესი "კვარტეტი" ზრუნავს: აშშ, რუსეთი, გაერო და ევროკავშირი.

ვაშინგტონში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი, გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი და ევროკავშირის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, კონკრეტულად ვერაფერზე შეთანხმდნენ. მიიღეს მხოლოდ გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ისრაელში არჩევნების ჩატარებამდე აღნიშნული გეგმის საბოლოოდ დამტკიცება არ მოხდება. (ისრაელში საყოველთაო არჩევნები 2003 წლის იანვარშია დაგეგმილი).

მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ შედგა შეხვედრა ჯორჯ ბუშთან, რომელმაც განაცხადა, რომ იგი ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარებას უჭერს მხარს.

"ოთხეულის" მიერ შემუშავებული სამშვიდობო გეგმა 2005 წლისათვის პალესტინის სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებს და სამი ეტაპისგან შედგება. პირველი ფაზა მშვიდობის დამყარებითა და ეკონომიკური კავშირების აღდგენით უნდა დასრულდეს. ამისათვის დოკუმენტი პალესტინელებისგან ტერაქტებისა და ძალადობის შეწყვეტას მოითხოვს, ისრაელმა კი პალესტინური ქალაქებიდან ჯარები უნდა გაიყვანოს და ბლოკადა მოხსნას.

პალესტინაში კი, ისევე როგორც ისრაელში, 2003 წლის იანვარში საყოველთაო არჩევნების ჩატარებაა დაგეგმილი. თუმცა, პალესტინის მხარე აცხადებს, რომ, თუ 20 იანვრამდე ისრაელი პალესტინის ტერიტორიიდან ჯარებს არ გაიყვანს, არჩევნები გადაიდება. ისრაელის მიერ პალესტინის ოკუპაციის შეწყვეტა მკაფიოდ არის განსაზღვრული "ოთხეულის" მიერ შემუშავებულ დოკუმენტშიც, რომლის დამტკიცებაზე "ოთხეულმა" ისრაელში არჩევნების ჩატარებამდე უარი განაცხადა. ამან კი, შესაძლოა, პალესტინაში არჩევნების ჩატარება გაურკვეველი დროით გადადოს. ამდენად, მსოფლიო ლიდერებისათვის ისრაელის არჩევნები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პალესტინის. ეს, ცხადია, გასაკვირი არც უნდა იყოს. თუკი პალესტინის ადმინისტრაციის როლი მსოფლიო თანამეგობრობისათვის მხოლოდ და მხოლოდ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირებით შემოიფარგლება, ისრაელს უდიდესი რეგიონული მნიშვნელობა აკისრია.

მასობრივი გამოსვლები არგენტინაში

ლევან ღირსიაშვილი

არგენტინის დედაქალაქის ქუჩები კვლავ მღელვარებამ მოიცვა. ათიათასობით არგენტინელი ბუენოს-აირესის ქუჩებში გამოვიდა და მთავრობას სოციალური ვითარების გაუმჯობესება მოთხოვა. მასობრივი მსვლელობებითა და დემონსტრაციებით არგენტინელებმა იმ საპროტესტო მღელვარების წლისთავი აღნიშნეს, რომელმაც ქვეყანაში ათეულობით ადამიანის დაღუპვა და პრეზიდენტისა და მთავრობის გადადგომა გამოიწვია.

არგენტინელი დემონსტრანტები ბუენოს-აირესში.

ერთი წლის წინ არგენტინის ასეულობით ათასი მოქალაქე, ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო, ქუჩებში გამოვიდა და მთავრობის გადადგომა მოითხოვა. არეულობების დაწყებიდან რამდენიმე დღეში არგენტინის ხელისუფლებამ ქვეყანაში სახელმწიფო ვალების მიმართ მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე მსხვილი დეფოლტი გამოაცხადა და ეროვნული ვალუტის დევალვირება მოახდინა. ყოველივე ამას ხელისუფლების გადადგომა მოჰყვა. თუმცა, ერთი წლის განმავლობაში მთავრობის ხუთჯერ შეცვლამ ოდნავაც ვერ შეამსუბუქა არგენტინის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. ქვეყნის ხელისუფლება დღემდე უშედეგოდ აწარმოებს მოლაპარაკებებს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და წარმოების მოცულობის შემცირებას, ცხოვრების დონის განუხრელად დაქვეითებას ვერაფერი მოუხერხა.

გუშინდელი დემონსტრაციების მიზეზიც სწორედ დღემდე გადაუჭრელი და მოუგვარებელი სოციალური პრობლემები იყო. ათიათასობით არგენტინელი ქვეყნის ამ მდგომარეობამდე მიყვანაში საკუთარ მთავრობასთან ერთად, საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და სხვა საფინანსო ინსტიტუტებს ადანაშაულებდა.

ბუენოს-აირესში ყველა მაღაზია დაიკეტა. დარბევისაგან თავის დასაცავად მოვაჭრეებმა მაღაზიების მინებზე ხის დაფებიც გააკრეს.

არგენტინის იუსტიციის მინისტრმა ხუან ხოსე ალვარესმა ნაციონალური ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ პრეზიდენტ დუალდეს ხელისუფლება მზად არის, ქვეყანაში წესრიგის დამყარების მიზნით, ყველაზე მკაცრ ზომებსაც მიმართოს. ბუენოს-აირესის ქუჩებში 12 ათასი პოლიციელი გამოიყვანეს. მათი მიზანია, არ დაუშვან ქალაქში, და საერთოდ, ქვეყანაში, მასობრივი არეულობების დაწყება. ცხადია, პრეზიდენტსა და მის მთავრობას კარგად ახსოვთ ერთი წლის წინ შექმნილი ვითარება, როცა 30-ზე მეტი მოქალაქე დაიღუპა და ამას მთავრობის გადადგომაც მოჰყვა.

თუმცა, ქუჩაში გამოსული არგენტინელები, რომლებიც მხოლოდ სამუშაოს და ელემენტარულ საარსებო პირობებს მოითხოვენ უკან დახევას არ აპირებენ. დემონსტრანტებმა დაწვეს და დაამტვრიეს არგენტინელი პოლიტიკოსების სურათები, დალეწეს ბანკებისა და საფონდო ბირჟის აბრები. ისინი დასვენების დღეებშიც არ აპირებენ აქციების შეწყვეტას. ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, დემონსტრანტებისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ეს მართლაც ასეა, რადგან, უკანასკნელი გამოკვლევების თანახმად, არგენტინის მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.

ეკონომიკა

ენერგეტიკოსები ქუჩაში გამოდიან

პირველი გვერდიდან

საბითუმო ბაზრის წარმომადგენლები საოლქო სასამართლოს საქმის განხილვის დაჩქარებას სთხოვენ. თუმცა, საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორი მიიჩნევს, რომ ეს საკმარისი არ არის : **"მთავარია, ბაზრის ანგარიში აღარასოდეს დაექვემდებაროს დაყადაღებას და თავისუფალ ანგარიშად გამოცხადდეს. ყველამ კარგად იცის, რომ საბითუმო ბაზრის თანხების მოძრაობის შეფერხება ქვეყნის ელექტრომომარაგებას საფრთხეს უქმნის,"** – აცხადებს ალბერტო სოლისი.

ყადაღადადებულ თანხებს შორისაა "ეი-ი-ეს მტკვრის" კუთვნილი 300 ათასი ლარი, რომლითაც ამერიკულ კომპანიას "თბილსრესის" მეცხრე ენერგობლოკისთვის ბუნებრივი აირი უნდა ეყიდა. ფერხდება ენგურჰესისათვის განკუთვნილი 350 ათასი ლარის გადარიცხვაც.

ამასობაში ენერგოსისტემა ისევ დეფიციტურ რეჟიმში მუშაობს. ქვეყნის შეუფერხებელი ელექტრომომარაგებისათვის, მინიმუმ, 1400-1500 მეგავატის სიმძლავრეა საჭირო. ენგურჰესის მესამე აგრეგატის გარემონტების შემდეგ იმატა ელექტროსადგურის საერთო გამომუშავებამ და ამჟამად ენგურჰესის წილად 450 მეგავატი სიმძლავრე მოდის. მიუხედავად ამისა, ქვეყნის გენერაცია, იმპორტის ჩათვლით, 1200 მეგავატს არ აღემატება.

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელ ელექტროგადამცემ ხაზს "კავკასიონს", ის შეუფერხებლად მუშაობს. მაგრამ რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი ამჟამად, საშუალოდ, 100 მეგავატზე მეტი არ არის. თუ სტიქიამ "საქრუსენერგოს" ხელი შეუწყო და "კავკასიონი" ისევ არ დაზიანდა, საახალწლოდ იმპორტის მოცულობა, შესაძლოა, გაიზარდოს.

არ დაწყებულა და, მინიმუმ, წლის ბოლომდე არც იგეგმება ელექტროენერგიის იმპორტი სომხეთიდან. "არმენერგოდან" მიღებული დენით, როგორც წესი, ისანი-სამგორის რაიონები მარაგდება ხოლმე. ამჟამად ქალაქის ამ ნაწილის ელექტრომომარაგება მკაცრად შეზღუდულია. შესაბამისად, ელექტროენერგიით არ მარაგდება არც სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, სადაც ყინვა 25-27 გრადუსს აღწევს.

როგორც "საქართველოს გაერთიანებულ ენერგოკომპანიაში" ვარაუდობენ, სომხეთიდან იმპორტის განახლება მხოლოდ მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, რაც სომხეთში თბოელექტროსადგური ამოქმედდება. მაგრამ, როგორც "საქართველოს გაერთიანებული ენერგოსისტემის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ბეგიაშვილი აცხადებს, **"სომხეთი ძველი, 70 ათასი ლარის ოდენობის დავალიანების გასტუმრებას ითხოვს."**

"ეი-ი-ეს თელასი" პირობის შესრულებას აპირებს

პირველი გვერდიდან

ფორმითაც უნდა", - გვითხრა ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა თამარ ნოსელიძემ.

სემეკის იურიდიულ დეპარტამენტშიც, დაახლოებით, იგივე განაცხადეს. ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის იურისტმა, ნია ტუსკიამ გვითხრა: "რა პრობლემა გახდა ამ საკითხის მოგვრება? თუ მოქალაქე უარს ამბობს "ეი-ი-ეს თელასის" მომსახურებაზე, შეუწყვიტონ ელექტროენერგიის მიწოდება და მომსახურება აღარ გაუწიონ. ასეთი საკითხები მათი გადასაწყვეტია."

ამერიკულ კომპანიაში გვითხრეს, რომ სემეკი ამგვარი განცხადებით პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას ცდილობს. "სემეკი ვალდებული იყო, რომ ეს საკითხი როგორმე დაერეგულირებინა, რადგან სამომხმარებლო ხელშეკრულების პროექტის საბოლოო ვარიანტს ის ადგენს. ასეთი პასუხით კი სემეკი, უბრალოდ, ცდილობს, პასუხისმგებლობას გაექცეს. თუ "ეი-ი-ეს თელასი" თავად მიიღებს გადაწყვეტილებას, მის მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში აბონენტს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტოს, ეს მოსახლეობის სერიოზულ აღშფოთებას გამოიწვევს და ჯოხი ისევ ჩვენზე გადატყდება. სემეკი სწორედ ამ ჯოხის საკუთარ თავზე გადატეხას არიდებს თავს", - გვითხრა "ეი-ი-ეს თელასის" ოფიციალური ლობის წარმომადგენელმა, მაგდა პოპიაშვილმა.

ასეა თუ ისე, ამერიკული კომპანია ორი კვირის წინათ დადებულ პირობას ასრულებს და მომავალი კვირიდან აბონენტებთან ხელშეკრულებების გაფორმებას იწყებს. "ეი-ი-ეს თელასს" იმედი აქვს, რომ მომხმარებელთან კონტრაქტების გაფორმების დროს პრობლემები არ შეექმნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოსავლის მოძებნა კვლავ სემეკს მოუწევს.

"ლუკოილი" კასპიის ნავთობკონსორციუმიდან აიბარგა

თორნიკე შარაშენიძე

რუსეთის უმსხვილესმა კომპანია "ლუკოილმა" "აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის" კონსორციუმში თავისი 10-პროცენტიანი წილი დათმო. "ლუკოილმა" აქციათა პაკეტი 1,35 მილიარდ დოლარად მიჰყიდა იაპონურ "ინპექსს." რუსული კომპანიის თავკაცის, ვაგიტ ალეკპეროვის თქმით, გარიგება "ლუკოილის" რესტრუქტურიზაციის გეგმის ჩარჩოებში მოხდა და რუსული გიგანტი მომავალშიც გააგრძელებს გამოსვლას იმ პროექტებიდან, სადაც მას ოპერატორის უფლებამოსილებანი არ გააჩნია.

"აზერი-ჩირაგ-გიუნეშლი" სწორედ ის საბადოა, საიდანაც სათავეს აიღებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი. მოგეხსენებათ, ამ პროექტის ოპერატორი "ბრიტიშ პეტროლიუმია." მის გარდა პროექტში სოლიდურ წილებს ფლობენ აზერბაიჯანის ნავთობკომპანია და "ექსონმობილი."

მიუხედავად წილის გაყიდვისა, ალეკპეროვი ირწმუნება, რომ მისი კომპანია კვლავაც დაინტერესებულია კასპიის ნავთობით, კერძოდ კი - სწორედ მისი აზერბაიჯანული ნაწილით. თუმცა, რა გზებით მოხდება ინტერესთა ახლებურად რეალიზება, "ლუკოილის" პრეზიდენტს არ დაუზუსტებია.

სოროსი საბანკო აფიორისთვის, გვარიანად დააჯარიმეს

თორნიკე შარაშენიძე

ცნობილი მილიარდერი და ფილანტროპი ჯორჯ სოროსი 2,2 მილიონი ევროთი დააჯარიმეს. პარიზის სასამართლომ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ადამიანი დამნაშავედ სცნო თაღლითობასა და ფარულ გარიგებებში, რის წყალობითაც სოროსმა და რამდენიმე მისმა ამფსონმა თავის დროზე გვარიანად მოითბო ხელი.

საქმე ეხება 14 წლის წინანდელ ისტორიას, როცა სოროსი ფრანგული ბანკის, "სოსიეტ ჟენერალეს" ხელში ჩაგდებას ცდილობდა. მილიარდერს მაშინ გვერდში ედგა ცნობილი საქმოსანი ჟორჟ პებერო, რომელმაც რაღაც მანქანებით ბანკის აქციათა სოლიდური პაკეტი მოიგდო ხელთ და სურდა საბოლოოდ დაემყარებინა "სოსიეტზე" კონტროლი. მაგრამ, ყველასთვის მოულოდნელად, სოროსსა და პებეროს არაფერი გამოუვიდათ, რაც თავისთავად უცნაური იყო, თუ ამ ხალხის ფინანსურ ალღოსა და გამოცდილებას გავითვალისწინებთ. მაგრამ კიდევ უფრო უცნაური იყო ის ფაქტი, რომ ბანკის აქციათა ფასი იმ პერიოდში გაორმაგდა. სამართალდამცავებმა ახლახან იეჭვეს, რომ სოროსმა და მისმა ამფსონებმა ბანკის ხელში ჩაგდების თაობაზე ტალღა მხოლოდ იმიტომ ააგორეს, რომ აქციებზე მოგება ენახათ. როგორც კი "სოსიეტეს" შესაძლო ყიდვაზე წავიდა საუბარი, მისი აქციების ფასი ზემოთ წავიდა. სოროსმა და პებერომ კი, რომელთაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოლიდური პაკეტი ეპყროთ ხელთ, აქციები მაშინვე გაყიდეს და დიდძალი ფულიც ჩაიჯიბეს. ბანკის შესყიდვაზე კი, ცხადია, საუბარი აღარ ყოფილა.

სოროსმა, რა თქმა უნდა, ყოველივე ეს კატეგორიულად უარყო და ბრალდებებს "აღმაშფოთებელი" უწოდა. მისმა ადვოკატებმა კი განაცხადეს, რომ "სოსიეტეს" ისტორია ერთობ დიდი ხნის წინ მოხდა და ამის გამო ახლა სიმართლის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. თუმცა, ამან ხელი არ შეუშალა სამართალდამცავებს პასუხისგებაში მიეცათ სოროსისა და პებეროს კიდევ ორი ამფსონი - საფრანგეთის იმდროინდელი ფინანსთა მინისტრის ოფისის ხელმძღვანელი ჟან-შარლ ნაური და აგრეთვე ლიბანელი ბიზნესმენი შამირ ტრაბულსი. მათი ბედი მალე გაირკვევა. პასუხისმგებლობას გადაურჩა სკანდალში გახვეული კიდევ ორი პიროვნება ედმუნ საფრა და რობერტ მაქსველი – ისინი გარდაცვლილები არიან. აღსანიშნავია, რომ სასჯელს გადაურჩა პებეროც. მას პრაქტიკულად ვერაფერი გამოუნახეს გარდა იმისა, რომ მაშინდელი პრეზიდენტის, ფრანსუა მიტერანის ადმინისტრაცია ბანკის პრივატიზაციაზე დაიყოლია. ეს კი დანაშაული ნამდვილად არ არის.

საერთო აზრით, ამგვარი მაქინაცია იმ პერიოდში გამონაკლისი არ ყოფილა და მიტერანის პრეზიდენტობისას ეს ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ საფრანგეთში. შესაძლოა, ახლანდელმა მთავრობამ სკანდალი ამიტომაც ამოატივტივა – სოციალისტების დისკრედიტაციისათვის მმართველმა პარტიამ ამაზე უკეთესი რა უნდა ინატროს.

მაგრამ ყველაზე მეტად დისკრედიტირებული, ალბათ, თავად სოროსია. თუმცა, 72 წლის ფილანტროპი მსგავს სკანდალებში ადრეც გახვეულა. 1992 წელს მან ბირჟული მაქინაციებით გირვანქა სტერლინგის კურსი არნახულად დააგდო და მილიარდები მოიგო. ამის გამო სოროსს უკვდავი მეტსახელიც შეარქვეს – "კაცი, რომელმაც ინგლისის ბანკი გატეხა." თუმცა, აქვე ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სტერლინგის დაძირვის გამო სოროსისათვის მართლმსაჯულებას პასუხი არ მოუთხოვია.

სოროსი 1930 წელს დაიბადა უნგრეთში და 50-იან წლებში აშშ-ს მიაშურა. 1973 წელს მან თავისი ფონდი დაარსა, რომელიც პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მოქმედებს. სოროსი პირველი ამერიკელია, რომლის შემოსავალმაც წელიწადში მილიარდ დოლარს გადააჭარბა.



ჯუზეპე ვერდი, მაღალი მოდა და შავი პური

თეონა ჯაფარიძე

ბაჯანა ბესელია. თბილისი

"მაკბეტი". სცენა სპექტაკლიდან.

ციური ლეონიძისა. თბილისი

ჩვენებაზე.



ავთო მესხი, "ხე გზაზე".

კვირის კულტურული ქრონიკიდან კონტრასტული თემები შევარჩიეთ: 20 დეკემბრის საღამოს საზოგადოების ერთი ნაწილი ოპერისკენ "მაკბეტის" პრემიერაზე დაიძრა, მეორე ნაწილმა სამეფო უბნის თეატრში მაღალი მოდის დეფილე არჩია, "ძველი გალერეა" კი ერთი უსახლკარო მხატვრის გამოფენას მასპინძლობდა ღვინითა და შავი პურით.

"მაკბეტის" პრემიერას თბილისის თეატრალური პუბლიკა მოუთმენლად ელოდა, იმიტომ რომ ვერდის ეს ერთ-ერთი რთული ოპერა თბილისში 1868 წლის შემდეგ არ დადგმულა. მისი განხორციელება გასულ წელს მაესტრო ჯანსუღ კახიძესა და მსოფლიოს საოპერო ვარსკვლავს, ლადო ათანელს განუზრახავთ. სწორედ ლადო ათანელმა ჩამოიტანა გერმანიიდან საქართველოში და ოპერის თეატრს აჩუქა "მაკბეტის" კლავირი და პარტიტურა. ჯერ კიდევ სიცოცხლეში დიდ მაესტროს გურამ მელივასათვის შეუთავაზებია, "გაეაზრებინა" სპექტაკლის რეჟისურა და სცენოგრაფია. პრემიერა შედგა. სპექტაკლის დამდგმელი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილია. მეორე მოქმედების შემდეგ ოპერის ცნობილ ფანს, გოგი ნიჟარაძეს გავესაუბრე: "ეს ურთულესი ოპერა და ფსიქოლოგიური დრამაა და არც კი მოველოდი, რომ მას თბილისელი მაყურებელი მიიღებდა, დიდი მუშაობაა გაწეული, ოპერის დასს აქვს პოტენციალი, რომ ურთულესი პარტიტურები ააჟღეროს. თეატრი კახიძის ეპოქის ტრადიციებს აგრძელებს".

ვერდის "მაკბეტი" პირველი პრემიერაა ოპერის თეატრში, რომელიც დიდი მაესტროს - ჯანსუღ კახიძის გარეშე დაიდგა და რომელიც მეორე დიდი მაესტროს - კოტე მახარაძის ხსოვნას მიეძღვნა.

იმავე საღამოს ძვირადღირებული მაღალი მოდის სანახავად თბილისელთა მეორე ნაწილი სამეფო უბნის თეატრში მივიდა. თეატრის ინტერიერი - დიზაინერ თამუნა ინგოროყვას მიერ წარმოდგენილი სამოცი კოსტუმი და საადგენტო "ნატალის" მოდელები ერთად საოცარ ეკლექტურ გარემოს ქმნიდნენ. კოლექციას აშკარად ეტყობა პარიზული მოდის სახლების გავლენა, სადაც დიზაინერმა თბილისის სამხატვრო აკადემიის შემდეგ განათლება მიიღო. თამუნა ინგოროყვას საავტორო ნიშნით ტანსაცმელსა და მაღაზია- სალონს, სადაც ეს ტანსაცმელი გაიყიდება, თბილისელი მოდურად ჩაცმის მოყვარულები მოუთმენლად ელოდებიან.

"ძველ გალერეაში" კი ავთო მესხის პერსონალური გამოფენის გახსნა, ალბათ, სულ ათიოდე მხატვარმა შავი პურითა და ღვინით აღნიშნა. "ვისაც უნდა, იმას ეწყინოს, მაგრამ თამამად ვამბობ, რომ ეს ერთადერთი ნონკონფორმისტი მხატვარია, რომელიც დაკვეთაზე არ მუშაობს, ხატავს იმას, რასაც ხედავს; ხატავს აბსტრაქციებს, მაგრამ ნახატებს კონკრეტულად ასათაურებს, მაგალითად: "როლინგსტონის საყელო", "მატარებლის ლიანდაგები", "მეზღვაურის მაიკა..." – ამბობს გალერისტი მანანა ვადაჭკორია. ავთო მესხი საქართველოში, ალბათ, ერთადერთი მხატვარია, ვისაც საკუთარი სახლი არა აქვს, ცხოვრობს რუსთავში, მოხუცთა თავშესაფარში. მის ბიოგრაფიაში კი ვკითხულობთ: "მუშაობდა კინოსტუდიაში მუშად, წისქვილკომბინატში მეისრედ, სტამბაში დამხმარე მუშად, ავეჯის ქარხანაში მღებავად..." მეგობრობდა ავთო ვარაზთან, ლეო ბაიახჩევთან, ალბერტ დილბარიანთან, გოგი ხუციშვილთან, თემო მაჭავარიანთან...

"ძველი გალერეა" ავთო მესხის საოცარ აბსტრაქციებს გთავაზობთ. ფასი – 3-დან 100 ლარამდე. მხატვარს პურისა და საღებავის ფული სჭირდება...

რბილი, ცოცხალი სკულპტურა

"ბარნოვზე" ირენ მააგის "აბრეშუმის მემბრანა" გაიხსნა

ვერა ნეფარიძე

ცოცხალი სკულპტურა.

პარასკევიდან ზურაბ წერეთლის საგამოფენო დარბაზი ირენ მააგის ამიერკავკასიურ ფოტოსერიას მასპინძლობს. დღეს იქ შვეიცარელი მხატვარი ადრეულ ვიდეონამუშევრებსაც წარმოადგენს.

"აბრეშუმის მემბრანა", - ასე ჰქვია სერიას, რომელიც საქართველოსა და სომხეთში გადაღებულ ხუთ, თითქმის ორმეტრიან ფოტოს აერთიანებს. "მე აბრეშუმის ნაჭრით დაფარული ვდგავარ ბუნების წიაღში. ქარი ეთამაშება ნაჭერს, რომელიც გარს მეკვრის. მე ცოცხალი, რბილი სკულპტურა ვარ – ადამიანი კონტრასტულ სივრცეებში", - ასე გადმოგვცემს სერიის იდეას მათი ავტორი.

ქანდაკება ირენის ძირითადი სამუშაოა. ყოველ შემთხვევაში, დიპლომი ქანდაკებაში აქვს დაცული, რისთვისაც შვეიცარიაში ხუთი წელიწადი სწავლობდა. ამჟამად იგი, ისევე როგორც თითქმის, ყველა თანამედროვე დასავლეთელი ხელოვანი, სხვადასხვა საშუალებებს იყენებს. მათ შორისაა ფოტოგრაფიაც. ფოტოხელოვნება და ქანდაკება – შვეიცარელი მხატვრის ამჟამინდელი ინტერესის სფეროებია.

ირენ მააგმა გრძელვადიანი პროექტი ფოტოს, ფილმისა და ვიდეოს მონაწილეობით წელს აგვისტოში, სომხეთში, გიუმრის თანამედროვე ხელოვნების მესამე საერთაშორისო ბიენალეზე დაიწყო. ავტორი პროექტზე მუშაობას ამჟამად საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნებში აგრძელებს. გუშინწინ გამოფენილ ფოტოებზე ირენი, როგორც ცოცხალი სკულპტურა წარმოდგენილია ბუნებაში რამდენიმე ადგილას. მათ შორის: შიდა ქართლში (სოფელ გარიყულასთან), დავით გარეჯსა და რუსთავს შორის საგზაო მონაკვეთზე და გიუმრში (სომხეთი). გადაღებაში კი ავტორის გამოცდილი ფოტოგრაფები: შვეიცარელი დანიელ ბრეფინი, გიორგი თურქაძე, ლიკა ჭყონია, ბრიუს ალანი და ვაზგენ ტადევოსიანი ეხმარებოდნენ.

გამოფენა ნამდვილად არ ჰქონდა განზრახული ირენს, როდესაც ერთადერთი ქართულ-შვეიცარული გაცვლითი პროგრამით (რომელსაც ლევან ჭოღოშვილის სახელოსნო რამდენიმე წლის განმავლობაში ახორციელებს) შვეიცარიიდან საქართველოში მოხვდა. პროგრამით გათვალისწინებული სამი თვის ნაცვლად ირენი თბილისში თითქმის ექვსი თვით დარჩა. "ჩემს გადაწყვეტილებას ერთადერთი მიზეზი ჰქონდა – უბრალოდ, მომეწონა აქაურობა. თანაც, შვეიცარიაში არ მეჩქარებოდა, ახლა, ამ გამოფენის სახით ამ გადაწყვეტილებამ ჩემთვის ძალიან კარგი შედეგი გამოიღო", - მეუბნება გამოფენის ავტორი.

"ძალიან მიხარია, რომ ასეთი კონტაქტი არსებობს ქართველებსა და შვეიცარელებს შორის. ყოველ შემთხვევაში, ქართველ მხატვრებს ეს ძალიან სჭირდებათ", - ამბობს გაცვლითი პროგრამის კოორდინატორი, მხატვარი ლევან ჭოღოშვილი. ქართველ მხატვრებთან ერთად ირენმა სომხეთში გამართულ "გიუმრის" ბიენალეზე მიიღო მონაწილეობა. ირენ მააგი ხელოვანთა ცნობილი შვეიცარული გაერთიანების "კასკადისა და კონდესატორის" წევრია. ეს საკმაოდ ავტორიტეტული დაჯგუფებაა შვეიცარიაში, რომლის წევრებიც თანამედროვე ხელოვნებაში მუშაობენ.

დღეს იგივე დარბაზში ირენ მააგი შვეიცარიაში გაკეთებულ საკუთარ პერფორმანსს წარმოადგენს. ირენისთვის ეს ვიდეოჩვენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც საქართველოში ყოფნისას დარწმუნდა, ჩვენთან მსგავს ჩვენებებს ქართველი მხატვრები ნაკლებად აკეთებენ. ამიტომაც ძალიან აინტერესებს აქაური კოლეგების აზრი. ჩვენება ზურაბ წერეთლის საგამოფენო დარბაზში (ირაკლი აბაშიძის 41-ში) დღეს სამ საათზე გაიმართება.



ფეხბურთი

შეიძინეთ დ`ალესანდრო

ანდრეს დ`ალესანდრო

არგენტინაში ფეხბურთის ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა. უფრო სწორად, არსებობდა, მაგრამ ამაზე ახლა უფრო ხშირად საუბრობენ. "ახალ მარადონად" წოდებული არგენტინული "რივერ პლეიტის" ფეხბურთელის შეძენა ლამის მთელ ევროპას მოუნდა.

ანდრეს დ`ალესანდრო, რომლის ესპანეთის "ბარსელონაში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო, შეიძლება სხვა ქვეყანაში აღმოჩნდეს. ახალგაზრდა ფეხბურთელს მსურველთა რიგი დაუდგა. დ`ალესანდრომ განაცხადა, რომ მისი პერსონით სერიოზულად დაინტერესდა "იუვენტუსი". "ეს მართალია. იტალიელებს ჩემი შეძენა სურთ, - ამბობს დ`ალესანდრო, - მაგრამ მათ "ბარსელონასთან" უნდა გაარკვიონ ურთიერთობა. დიდმა ომარ სივორიმ "იუვენტუსის" შესახებ ყველაფერი მიამბო. კარგი იქნება, თუ ეს გარიგება მოხდა".

"არ ვიცი, რამდენად მიზანშეწონილი იქნება ჩემთვის იანვარში კლუბის შეცვლა, - ამბობს "რივერ პლეიტის" ფეხბურთელი, - მაგრამ ჩემით რამდენიმე სერიოზული კლუბი დაინტერესდა". კონკრეტული წინადადება კი ახალგაზრდა ნიჭიერ ფეხბურთელს შესთავაზა მხოლოდ "ბარსელონამ", რომელსაც მწვრთნელთან დაკავშირებული პრობლემების გამო ამ ტრანსფერისთვის ჯერ არ სცალია. სხვები კი, როგორც ჩანს, ესპანელებთან პოლემიკის გამართვას არ ჩქარობენ და კატალონიაში განვითარებული მოვლენების დასრულებას ელოდებიან.

ასეა თუ ისე, "ბებერი "ქალბატონის" გარდა, არგენტინელი ფეხბურთელის გადაბირება სურთ მილანის "ინტერს", "მანჩესტერ იუნაიტედს" და მადრიდის "რეალს". ახალგაზრდა არგენტინელით ფეხბურთის გრანდების ესოდენ დიდი ინტერესი იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ ანდრეს დ`ალესანდროს, სხვა სამხრეთამერიკელ ფეხბურთელებთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვს - ფლობს იტალიის პასპორტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირის ქვეყნებში უცხოელად არ ჩაითვლება.

ქადრაკი

კარპოვმა კასპაროვი დაამარცხა

კარპოვი - კასპაროვი 2,5:1,5

ნიუ-იორკში დამთავრდა ორდღიანი მატჩი სწრაფ ჭადრაკში გარი კასპაროვსა და ანატოლი კარპოვს შორის. შეხვედრის ანგარიშია 2,5:1,5 ანატოლი კარპოვის სასარგებლოდ. შეგახსენებთ, რომ შეჯიბრების პირველ დღეს ყაიმი - 1:1 დაფიქსირდა. მოჭადრაკეებმა თითო გამარჯვება მოიპოვეს. მეორე დღეს კი კარპოვმა, თეთრი ფიგურებით, 46-ე სვლაზე დაადასტურა თავისი უპირატესობა და კასპაროვს შამათი აგება. შავი ფიგურებით კი მსოფლიოს მე-12 ჩემპიონმა მოახერხა საერთო გამარჯვებისთვის აუცილებელი ყაიმის მიღწევა და ორდღიანი ბლიც-ტურნირი მოიგო, რისთვისაც 50 ათასი დოლარი ჩაიჯიბა.

კასპაროვის ჰონორარმა 200 ათასი დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ უშუალოდ სტუდიაში, სადაც მატჩი მიმდინარეობდა, შეხვედრის ნახვის საშუალება მხოლოდ რამდენიმე ათეულ ჟურნალისტს და გულშემატკივარს ჰქონდა. სამაგიეროდ, ინტერნეტის ქსელში მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი მიმდინარეობდა.

მოკლედ

ფეხბურთი. როგორც იქნა, "მანჩესტერ იუნაიტედი" იტალიური "ლაციოსგან" მიიღებს იაპ სტამის გაყიდვის ფულს. შეგახსენებთ, რომ იტალიელები თავს იკავებდნენ ფულის გადახდისგან და ინგლისელები იძულებულნი გახდნენ, მდგომარეობის გამოსასწორებლად უეფასთვის მიემართათ.

■ ■ ■

ფეხბურთი. ამიერიდან ალბანეთის ნაკრებს, 10 თვის განმავლობაში, წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი ჰანს პეტერ ბრიგელი გაწვრთნის. 47 წლის სპეციალისტმა ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციასთან ხელშეკრულებას გუშინ მოაწერა ხელი. ოფიციალურად ბრიგელის ხელფასი ცნობილი არ არის, თუმცა, ალბანური საინფორმაციო წყაროების მიხედვით, 10 თვის განმავლობაში ბრიგელი 174 000 ევროს მიიღებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. იტალიური საინფორმაციო წყაროების ცნობით, გუშინ "მილანის" მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ესაუბრა მცველ მარტინ ლაურსენს და შესთავაზა, ახალი კლუბი მოძებნოს. საუბრის ინიციატორი ყოფილა თავად ფეხბურთელი, რომელსაც არ მოსწონს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა და მწვრთნელთან ვითარების გარკვევა მოინდომა. ლაურსენს ინგლისური "ტოტენჰემი" ეპატიჟება და თუ "მილანის" ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ვერ მიიღებს, ალბიონზე გადაბარგდება.

■ ■ ■

კრივი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ყველაზე მსუბუქ წონით კატეგორიაში ჯოელ კასამაიორმა გუშინწინ მექსიკელ იონი ვარგასს მეხუთე რაუნდში მოუგო ჩხუბი, რომელიც მომავალში მსოფლიო ჩემპიონობისთვის ბრძოლის საშუალებას იძლევა. ეს კასამაიორის მეორე მატჩი იყო მას შემდეგ, რაც წლევანდელი წლის დასაწყისში თავისი საჩემპიონო ქამარი ასელინო ფრეიტასს დაუთმო.

■ ■ ■

ჰოკეი. მოსკოვში მიმდინარე "ბალტიის თასის" გათამაშებაზე წარმატებით ასპარეზობს ფინეთის ნაკრები, რომელსაც, ჯერჯერობით, ქულა არ დაუკარგავს. გუშინ მსოფლიო ჩემპიონის, სლოვაკეთის ნაკრების დამარცხებით მეორე ადგილზე რუსეთის ნაკრებმა გადაინაცვლა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, შვედებმა ოთხი მატჩიდან სამი წააგეს, ერთი ფრედ დასრულეს და სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე არიან.

■ ■ ■

კალათბურთი. მომავალი წლის 14-15 იანვარს ვილნიუსში გაიმართება ფიბა-ს ჩრდილოეთ კონფერენციის საუკეთესო ოთხეულის ფინალი, რომელშიც გამოვლინდება ჩრდილო ევროპული საკალთბურთო ლიგის (NEBL) გამარჯვებული. ამ ტიტულს "უნიკსი", "სოპოტი", "ლიეტოვუს რიტასი" და "ნობილესი" შეეცილებიან ერთმანეთს. სამხრეთ კონფერენციის ფინალი, რომელშიც ბერძნული "პერისტერი" და "არისი", თურქული "პტტ" და ბულგარული "აკადემიკი" ითამაშებენ, 16-17 იანვარს გაიმართება სოფიაში.

საფრანგეთში საშობაო არდადეგები დაიწყო

მარსელის "ოლიმპიკი" ჩემპიონატს ლიდერობს

საფრანგეთის ჩემპიონატი. მე-20 ტური: სოშო - ლანსი 3:0, ბასტია - ნანტი 3:1, გინგამი - აიაჩო 3:1, ტრუა - რენი 0:!, სტრასბური - ნიცა 0:0, სედანი - ლიონი 1:1, ლილი - ჰავრი 1:0, მარსელი - მონაკო 1:1, პსჟ - ბორდო 1:1, მონპელიე - ოსერი გადაიდო.

მარსელის "ოლიმპიკი" საშობაო არდადეგებზე საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერის როლში წავიდა. მე-20 ტურში "ოლიმპიკი" მშობლიურ ველოდრომზე თავის ყველაზე პრინციპულ მეტოქეს - "მონაკოს" ხვდებოდა. 23 წელია, მონეგასკებს მარსელის "ველოდრომზე" არ მოუგიათ და ეს ვერც პარასკევს შეძლეს. თუმცა, ანგარიში კი გახსნეს. გოლი ხორვატ დადო პრშოს ანგარიშზეა. მეორე ტაიმში, დანიელ ვან ბუიტენის საჯარიმო დარტყმის შემდეგ, ბურთი მექსიკელ რაფაელ მარკესს მოხვდა და სტუმართა კარის ბადეში გაეხვია - 1:1.

"პირველ ტაიმში დაცვა დაგვავიწყდა, - ასეთი კომენტარი გაუკეთა მატჩს "მარსელის" მთავარმა მწვრთნელმა ალენ პერენმა, - ჩვენ მეტოქეს შეტევისთვის დიდი ასპარეზი მივეცით. თუმცა, მეორე ტაიმში ბიჭები გონს მოეგნენ და ანგარიში გაათანაბრეს". "შედეგით განცვიფრებული ვართ, - თავის მხრივ, განაცხადა "მონაკოს" მწვრთნელმა დიდიე დეშამმა, - რამდენიმე წუთით კონცენტრაციის დაკარგვა გოლის ფასად დაგვიჯდა, მაგრამ ახლა არ ღირს იმაზე საუბარი, თუ პირველ ტაიმში რა კარგად ვითამაშეთ".

REUTERS

მარსელელი ფაბიო სელესტინისა და მონაკოელი ლუდოვიკ გიულის დუელი.

ამ ტურში, "ოლიმპიკისა" და "მონაკოს" მსგავსად, ჩემპიონატის სხვა ლიდერებმაც - "ნიცამ" და "ლიონმაც" ფრედ ითამაშეს და "სოშოსა" და "გინგამს" საშუალება მისცეს, დასწეოდნენ. ეს ექვსეული სატურნირო ცხრილში საკმაოდ დაწინაურდა, მაგრამ გაურკვეველია, აღმოჩნდება თუ არა მათ კამპანიაში "ოსერი", რომელსაც ორი მატჩი რეზერვში აქვს და დაკარგული ქულებით ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს.

"ოსერმა" ვერც მე-20 ტურის მატჩი ჩაატარა. გადაუულებელი წვიმების გამო, რომელმაც მონპელიეში სათამაშო მინდორი გააფუჭა, "მონპელიე"-"ოსერის" მატჩი გადაიდო. საფრანგეთის ჩემპიონატი 11 იანვარს განახლდება.

მარსელი	20	10	5	5	21:19	35
ნიცა	20	9	7	4	24:14	34
გინგამი	20	10	4	6	31:24	34
მონაკო	20	9	6	5	32:20	33
ლიონი	20	9	6	5	36:25	33
სოშო	20	9	6	5	23:14	33
ოსერი	18	8	5	5	19:17	29
პსჟ	20	7	7	6	29:21	28
ნანტი	20	8	4	8	23:24	28
ლანსი	20	7	7	6	18:19	28
ლილი	20	7	7	6	20:24	28
ბორდო	20	7	6	7	23:19	27
სტრასბურგი	20	7	6	7	23:30	27
ბასტია	20	7	3	10	21:28	24
სედანი	19	6	5	8	22:25	23
რენი	20	6	5	9	19:22	23
ჰავრი	20	4	7	9	14:24	19
აიაჩო	20	4	6	10	16:27	18
ტრუა	20	3	7	10	14:22	16
მონპელიე	19	3	7	9	16:26	16

კალათბურთი

სტეფანიას "ჰიტმა" ტორონტოში ნამდვილი ჰიტი წარმოადგინა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი. შაბათი: ტორონტო - მაიამი 77:97, დენვერი - ორლანდო 80:89, ინდიანა - ჩიკაგო 101:86, ბოსტონ სელტიკსი - მინესოტა 108:99, მემფისი - მილუოკი 95:84, დეტროიტი - კლივლენდი 109:107, ფილადელფია - ლეიკერსი 107:104, ჰიუსტონი - ატლანტა 101:82, დალასი - იუტა 81:93, სიეტლი - ჰორნეთსი 86:88, გოლდენ სტეიტი - პორტლენდი 111:113, კლიპერსი - ფინიქსი 76:87.

შაბათს "მაიამი ჰიტი" ტორონტოს ესტუმრა და იქაურ "რეპტორზს" თვალსასაჩინო სანახაობა უჩვენა. პატ რაილის შეუძლია, მშვიდად იყოს. მის გუნდს შაბათის მატჩში მსაჯებიც სწყალობდნენ და, რაც მთავარია, კალათბურთელებმაც შთამბეჭდავი წარმოდგენა გამართეს. სხვებთან ერთად, ჩვენი თანამემამულე ვლადიმერ სტეფანიაც გამოირჩეოდა. ქართველმა მოედანზე 23 წუთი დაჰყო. "ჰიტის" მსუბუქი ცენტრის მარაგში 6 ქულა, 7 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 გადაცემა და 1 დაფარება აღმოჩნდა. ამასთან, სტეფანია მხოლოდ ერთხელ დაჯარიმდა და, საბოლოოდ, კარგი შეფასებაც დაიმსახურა. შეიძლება ითქვას, სტეფანიამ მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

REUTERS

ვლადიმერ სტეფანიამ სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

ნიკა ცქიტიშვილის დენვერი ორლანდოელ "ჯადოქრებს" მასპინძლობდა. აბა, ჯადოქარი რისი ჯადოქარია, ერთი ფოკუსი მაინც თუ არ ჩაატარა და თავის სასარგებლოდ არ გამოიყენა. დენვერელთათვის სამწუხაროდ, ეს ფოკუსი მთელი ძალით ამოქმედდა ბოლო მეოთხედში, რომელიც სტუმრებმა 10 ქულის სხვაობით - 27:17 მოიგეს და საბოლოო გამარჯვებაც მათ დარჩათ. ნიკა ცქიტიშვილმა 9 წუთში ქულის აღება ვერ მოახერხა. სამჯერ დაკარგა ბურთი, მაგრამ 6 მოხსნა, 3 გადაცემა და 1 ჩაჭრა განახორციელა. თუმცა, საბოლოოდ, თავის გუნდს მაინც ვერ მოაგებინა.

როგორც უნდა ვილაპარაკოთ, შაბათი მაინც ფილადელფიელი ალენ აივერსონის დღე იყო. "ფილადელფია" NBA-ის ბოლო სამი წლის ჩემპიონს "ლოს-ანჟელოს ლეიკერსს" მასპინძლობდა და უაღრესად დრამატული, დიდი ბრძოლაც გაუმართა. გამარჯვებულის გამოსავლენად ოვერტაიმი გახდა საჭირო. აივერსონის ღვაწლი განსაკუთრებით დაფასდა მესამე მეოთხედში, რომელიც ფილადელფიელებმა 12 ქულის სხვაობით - 37:25 მოიგეს.

მართალია, ქულების ჯამში აივერსონი (32 +9 ჩაჭრა) ლოს-ანჟელესელ კობი ბრაიანტს ჩამორჩა (44 +10 გადაცემა), მაგრამ შესანიშნავად იმუშავა დაცვაში. 9 ჩაჭრით აივერსონმა წლევანდელ სეზონში საუკეთესო შედეგი აჩვენა და კლუბის რეკორდიც გაიმეორა. რაც შეეხება "ლოს-ანჟელოს ლეიკერსს", ზედიზედ სამი მარცხი იწვნია და წყნარი ოკეანის დივიზიონში ბოლოსწინა ადგილზე ჩამოქვეითდა. თუმცა, ფილ ჯექსონი თავისი გუნდის წარუმატებლობას დროებით მოვლენას უწოდებს.

"წინ მთელი ჩემპიონატია. იმედი მაქვს, ჩემი კალათბურთელები მატჩიდან მატჩამდე თამაშის ხარისხს მკვეთრად გააუმჯობესებენ", - აცხადებს "ლოს-ანჟელოს ლეიკერსის" მთავარი მწვრთნელი.

საათხილამურო სპორტი

შვეიცარიელის მოლოდინში

გიგა გურასაშვილი

გიგანტურ სლალომში მსოფლიო თასის მესამე ეტაპს, პარასკევს იტალიის კურორტმა ვალ გარდენამ უმასპინძლა. სასლონგის კლასიკურ ტრასაზე, 19-წლიანი ინტერვალის შემდეგ, ისევ შვეიცარიელმა მოთხილამურემ მიაღწია წარმატებას. 1983 წელს სასლონგის ტრასის სადებიუტო ასპარეზობის ტრიუმფატორი გახდა ლეგენდარული შვეიცარიელი პირმინ ცურბრიგენი. ახლა კი...

ცურბრიგენის გამარჯვებიდან ახლანდელი გათამაშების მესამე ეტაპამდე სასლონგის ტრასას ამ სახის ასპარეზობისთვის არ უმასპინძლია. 19-წლიანი შესვენების შემდეგ, ჩემპიონობა ისევ შვეიცარიელის თანამემამულეს დიდიე დეფაგოს დარჩა. ერთ წუთსა და 38,11 წამში ჩამოსრიალებულმა დეფაგომ მისთვის პირველი მსოფლიო თასი მოიგო.

"სუპერგიგანტის ბოლო შეჯიბრებაზე დაკავებული მეოთხე ადგილის შემდეგ თავდაჯერებული გავედი ტრასაზე, მაგრამ გამარჯვება მაინც მოულოდნელი იყო ჩემთვის,"- გაიცინა დეფაგომ.

REUTERS

დიდიე დეფაგო

მსოფლიო თასის მესამე ეტაპის მოულოდნელობა იყო შვეიცარიელთან 11 მეასედი წამით ჩამორჩენილი ავსტრიელი ჰანეს რეშელტის მეორე ადგილი. გადაღლილობას უჩიოდა, მაგრამ საკუთარი შედეგით კმაყოფილებას ვერ ფარავდა მესამე ადგილზე გასული ლიხტენშტაინელი მარკო ბუშელი. მასპინძელთაგან ყველაზე უკეთესი შედეგი ჰქონდა არნოლდ რედერს, რომელმაც შეჯიბრების 66 მონაწილეს შორის მე-17 ადგილი დაიკავა. თუმცა, გიგანტურ სლალომში მსოფლიო თასი მისთვის პირველი პაექრობა გახლდათ.

თუ სუპერგიგანტი სასლონგის ტრასისთვის მეორე ასეთი ასპარეზობა იყო, სწრაფდაშვებაში მსოფლიო თასის გუშინდელი მეოთხე ეტაპი 41-ე გახლდათ.

ზუსტად ერთი წლის წინათ ვალ გარდენაში ავსტრიელმა შტეფან ებერჰარტერმა სწრაფდაშვებების მსოფლიო თასზე თანამემამულეთა წარმატებებს დაუდო სათავე. ახლა კი, იმავე ვალ გარდენაში, ავსტრიელთა წარმატებული სერია შეწყდა. ფრანგმა ანტონ დენერიასმა სასლონგის 42-ე კლასიკის ტრასა რეკორდულ დროში – წუთსა და 55,95 წამში გაიარა. მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ ავსტრიელები მიშელ ვალშოფერი და ჯოზეფ შტრობლი.

გუშინვე გაიმართა მსოფლიო თასის კიდევ ერთი ეტაპი - ამჯერად ქალებისთვის. სწრაფდაშვებაში მსოფლიო თასის მესამე ეტაპს შვეიცარიულმა ლენცერჰაიდმა უმასპინძლა. მიმდინარე სეზონში მსოფლიო თასზე პირველი წარმატება იზეიმა ავსტრიელმა მიხაელა დორფმაისტერმა. მეორე ადგილზეა მისი თანამემამულე ბრიგიტ ობერმოზერი. ერთადერთი, ვინც არაავსტრიელთაგან პრიზიორთა შორის მოხვდა, ამერიკელი კირსტენ კლარკია.

კრივი

მესამე და სამართალი

ჰაატა თოთაძე

ბრძოლა მსოფლიოს მძიმეწონოსან ჩემპიონ ლენოქს ლუისსა და კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) რეიტინგის პირველი ადგილის მფლობელ ვიტალი კლიჩკოს შორის მომავალი წლის აპრილში გაიმართება. ამის შესახებ ინფორმაცია გუშინ გაავრცელა უკრაინელი მოკრივის პრომოუტერმა კლაუს პეტერ კოლმა.

თარიღი, ჯერჯერობით, დაზუსტებული არ არის, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, ბრძოლა 12 ან 19 აპრილს გაიმართება. სამაგიეროდ, დაზუსტებულია ჩხუბის გამართვის ადგილი – აშშ.

8 ივნისს მემფისში მაიკ ტაისონის დამარცხების შემდეგ, ლუისი საერთოდ აპირებდა აქტიური სპორტიდან წასვლას, მაგრამ დათანხმდა ტელეკომპანია HBO-ს მიერ შეთავაზებულ წინადადებას. ტელეკომპანია ბრიტანელ მოკრივეს მომავალ სამ ბრძოლაში ზღაპრულ ჰონორარს ჰპირდებოდა. ის სამი ბრძოლა მას ძმებ კლიჩკოებთან და მაიკ ტაისონთან უნდა გაემართა. რაკი სიით პირველი ვიტალი კლიჩკო იყო, გადაწყდა, რომ ჩხუბი 7 დეკემბერს გამართულიყო, მაგრამ ლუისმა იუარა – ტრავმის შემდეგ ვიტალის არც ერთი ბრძოლა არ გაუმართავს და ფორმაში ვერ იქნებაო. ჯენტლმენურმა მიზეზმა გაჭრა, ბრძოლის თარიღად 8 მარტი გამოცხადდა, თუმცა, ისე მოხდა, რომ ლუისმა კვლავ იუარა უკრაინელთან ჩხუბი, ამჯერად სულ სხვა მიზეზით – მასში ღირსეულ მეტოქეს ვერ ვხედავო.

გაუგებარია, რატომ აარიდა თავი მარტში ლუისმა კლიჩკოსთან ბრძოლას, რადგან, ტელეკომპანიასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, ეს მაინც მოუწევდა. ამასთან, უკრაინელთან ჩხუბს მას კიდევ ერთი ხელშეკრულება აიძულებს. შესაძლოა, ლუისმა უარი იმიტომ თქვა, რომ ჩათვალა, მარტში სასურველ ფორმაში ვერ იქნებოდა. ასეა თუ ისე, კლაუს პეტერ კოლის თქმით, ბრძოლის გამართვას წინ ვერაფერი დაუდგება. ახლა მხოლოდ თარიღია დასაზუსტებელი, შემდეგ კი უკვე ოფიციალური განცხადებისა და ჰონორარების გამოცხადების დრო დადგება.



ანონსი

თეატრები

■ რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

■ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ადოლფ შარლო ადანი "ყიზელი", დირიჟორი - რევაზ ტაკიძე
დას: 12:00 სთ

■ თავისუფალი თეატრი
"კომედიანტები", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

■ თეატრალური სარდაფი
"ფიგაროს ქორწინება", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

■ ახმეტელის თეატრი
"მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ, ფასი 2,3 ლარი

საგამოფენო დარბაზები

■ N გალერეა
ფოტომოყვარულთა გამოფენა-კონკურსი "ქოლგა"

■ TMS
გურამ თიკანაძისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

■ „ქარვასლა„
თინა კობიაშვილის სახელოსნოს და მისი ნამუშევრების გამოფენა
ფოტო კოლაჟი "ძველი თბილისი", ნინო გერსამიას ნამუშევრების გამოფენა
ნინო მეტრეველის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

■ ეროვნული გალერეა
მანანა თავაძისა და თენგიზ მირზაშვილის გამოფენა

■ გალერეა „ვერნისაჟი„
საიუბილეო გამოფენა "ვერნისაჟი 5 წლისაა"

■ გალერეა „უნივერსი„
"პალერმოს გამოფენა 15 წლის შემდეგ", ფარჯიანი, მატაბელი, ბუღაძე, ჭოღოშვილი

■ თანამედროვე ხელოვნების გალერეა „ორიენტი„
საქველმოქმედო გამოფენა

კინოთეატრები

■ „ამირანი„
მულტიპლიკაციური ფილმი "სპირიტი"
დას: 13:00; 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი"
დას: 17:00; 19:00 სთ; ფასი 6,7 ლარი
"24 საათი", როლებში; შერლი სტერონი, კევინ ბეიკონი
დას: 21:00 სთ; ფასი 7 ლარი

■ „რუსთაველი„
მულტიპლიკაციური ფილმი "პიტერ პენი"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ფორმულა 51", რეჟ. ბონი იუ
დას: 19:00; 21:30 სთ. ფასი 5, 7 ლარი

■ „ელისო„
მულტიპლიკაციური ფილმი "პიტერ პენი"
დას: 13:00; 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ფორმულა 51",რეჟ. ბონი იუ
დას: 17:00 სთ, ფასი 5 ლარი
"შემთხვევითი მილიონერი"
დას: 19:00; 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

სადილი ყველას

კვირას 29 დეკემბერს "კათარზისი" კვლავ იწვევს ნებისმიერ მსურველს სათნოების სახლში 12-დან 17 საათამდე, სადაც ცხელ გემრიელ სადილს შესთავაზებენ.

ამჯერად თქვენ გიმასპინძლებთ ფოთის პორტი.

დარეკეთ 11-დან 17 საათამდე 95-16-45.
დავით აღმაშენებლის 121.

ბინები

იყიდება

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000, ტელ: 899 901729.

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება 2-ოთახიანი მაღალქერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება ავჭალაში ნაკვეთი სახლით. საწყისი ფასი 5500. 8(99) 15 76 76 გიორგი

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

იყიდება 3-ოთახიანი ბინა კარგი რემონტით ვაკეში ფალიაშვილის ქუჩაზე კაპ. ა/ფარეხით. შეიძლება ახალი ავეჯითაც. 899 515854.

სასწრაფოდ, იყიდება 3+2 გაერთიანებული გადაკეთებული ბინა ნერეთლის 55 ნომერში, ა/ფარეხით, მე-4 სართულზე. ს/ფასი 56 000. 899 51-58-54.

მიწის ნაკეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

ბინები

ქირა, გირაო

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

ვაქირავებ 3-ოთახიან ბინას ტელეფონით საოფისედ. ფასი 400 $. მერიასთან. 99 85 14 მანანა

გირავდება მეტრო „წერეთელთან" 2-ოთახიანი ან 1-ოთახიანი მეტრო ღრმაღელესთან. 8(99) 54 97 11

ვაქირავებ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქუჩა №9-ში, დღიურად. 92 03 85, 99 94 67, 8(93) 33 03 86

მანქანები

იყიდება „06" 1989 წლის და „011" 1986 წლის. 94 15 33

იყიდება უკრაინული წარმოების მინიტრაქტორი „ხარკოვი". ფასი 600 ლარი. 8(77) 72 40 41

სწავლება

ვასწავლი კომპიუტერზე მუშაობას ინდივიდუალურად უმოკლეს ვადაში. შესაძლებელია ბინაზე მისვლა. 38 58 30 დათო (საღამოს)

15 იანვრიდან ავიყვან აბიტურიენტებს მათემატიკაში. შეიძლება სახლში მისვლაც. 38 18 64 ნანა

ვასწავლი ინგლისურს შეღავათიან ფასად. 78 40 42

ბიზნეს სასწავლო ცენტრი გთავაზობთ სწავლას და შემდეგ დასაქმებას საოფისე სისტემაში. 76 60 25 (საღამოს), 8(93) 39 49 02 გია

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

შეგასწავლით!
კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.
ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.

სხვადასხვა

ვარ შემცირებაში მოყოლილი პედაგოგი. ვიმუშავებ ძიძად. 79 78 27, 75 84 51 ალისია

იყიდება მობილური ტელეფონებისა და კომპიუტერის გამოსხივებისაგან დამცავი საშუალება, სიმაღლის მოსამატებელი პროდუქტები. 95 79 32, 8(93) 36 53 57 ქეთინო

სასწრაფოდ ვყიდი ხის მასალისგან დამზადებულ კარებს. საკმაოდ იაფად. ზომა 2X0,9. 38 18 64

იყიდება კომპიუტერი Pentium 1. საწყისი ფასი 120$. ტელ: 30-56-90, ზურა .

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.
ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.
ტელ: 95-39-97
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

TV პროგრამა 21 დეკემბერი

რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი "ათასნლეული"
11.50 სიმფსონები
12.50 მხ.ფილმი
14.35 ველური ბუნება
15.05 მხ. ფილმი
16.30 კოლომბო
18.00, 21.00, 00.40 კურიერი
18.20 ველური ამბები
19.00 სახლი ძველ უბანში
19.30 სერიალი
20.00 სერიალი "ჩინელი პოლიციელი"
21.00 60 წუთი
22.25 ჩვენი ეზო
22.45 "ჯეოსელის კინოკლუბი" - "შოუ იწყება" 8 77 45-79-25 რობერტ დე ნირო, ედი მერფი, "შიშის ოთახი" 8 77 45-79-26 ჯოდი ფოსტერი, ჯარედ ლეტო, "მკვლელობის ათვლა" 8 77 45-79-27 სანდრა ბალოკი, რაიან გოსლინგი
00.50 მხ.ფ. "ფართოდ დახუჭული თვალები" მთ. როლებში ტომ კრუზი, ნიკოლ კიდმანი
03.00 კლასიკა.

პირველი არხი

08.00 "მოამბე"
08.15 მხ. ფილმი "ჰომერი და ედი"
10.00 დილის პაემანი
11.05 "დიდი დასვენება"
11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.05 "სპა"
12.35 "პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 ღამის ჯაზი
14.25 არათბილისური ამბები
15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.20 შ. რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრის სპექტაკლი - "საშობაო სიზმარი"
17.05 "საკვირაო გამოფენა"
17.15 მულტსერიალი "პრინცესა ნერი"
17.40 ტელეზღაპარი
18.00 ტაიმ-აუტი
18.20 ფრაგმენტები სასამართლო ცხოვრებიდან
18.55 ოქროს ვექტორი
19.25 ჩვენი მისამართია
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 "ამბობენ"
21.25 მუსიკალური ოქტაგონი
22.05 ტელესერიალი "ქალთა სავანე" მე-3 სერია
23.05 "ჩემი მშვენიერი ლედი"
23.25 ტაიმ-აუტი
23.55 ქართ. მხ. ფილმი "ნათლისღება"
01.35 მხ. ფილმი "სიყვარულის ტყვე ქალი"

პირველი სტერეო

09.15 გამ. მუსათეული
10.00 ტოროლა
11.00 გამ. ინფაქტი
13.00 გამ. პოლიტპაპარაცი
13.15 პაუზის გარეშე
16.00 ფილმი კომედია "ცუნამის დამორჩილება"
18.00 გამ. სველი ხაზი
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 ინგლისური მუსათეული
21.45 აბა გამოიცანი მელოდია
22.45 კვირის საუკეთესო ვიდეოხულიგნები
23.00 ინფორმატორი
23.30 არასარეკლამო ათეული
00.00 ფილმი ბრავო "აჩრდილთა სამყარო"
01.45 ფილმი ღამურა "რეპლიკანტი"
03.45 პაუზის გარეშე

მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 შეხვედრები ფიქრის გორაზე
20.30 საქართველოს მატიანე
21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნევ
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი "კაცი რომელიც ტიროდა"

ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები
11.05 მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.25 თბილისური ოჯახები
14.10 მუსიკა
15.00 მულტფილმი
15.30 საოცარი პირამიდა
17.00 - 19.00 რელიგიის საათი
19.00 დოკ. ფილმი
20.00 შეხვედრა ვარსვლავთან
20.20 მოგზაურობა ბავშვობაში
20.40 თავისუფალი მიკროფონი
20.50 თქვენი აზრით
21.00 დოკ. ფილმი
22.00 "იდენ-ტვ"
22.30 ოაზისი
23.30 მსოფლიო სპორტი

იბერია

08.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.30 მხ. ფილმი "სიკვდილის მიზეზი"
10.15, 12.30, 21.55, 00.45 მუსიკა
10.20 მხ.ფ. "კიკუჯირო"
13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით)
19.30 დიდი ბრიტანეთი დღეს
20.00 მხ.ფ. "მიწისქვეშეთში დაკარგული"
22.15 მხ.ფ. "სიყვარულისათვის"
00.50 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ქვის რომანი"
13.00 მხ. ფილმი "დრაკონის კოცნა"
15.10 მხ. ფილმი "საქმის გარჩევა ბრონქსში"
16.45 მხ. ფილმი "ნილოსის მარგალიტი"
18.40 ჯაზ პარნასი
19.00 ინდ. მხ. ფილმი
22.00 მხ. ფილმი "შვიდი"
00.00 მხ. ფილმი "საყვარელი"

მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი"
10.45, 13.25, 15.15, 16.20, 19.10, 00.25 მუსიკა
11.00 მხ. ფილმი "ბაზა"
12.35 მულტფილმი "ფიფქია"
13.40 მხ. ფილმი "ლეგიონი"
15.30 დოკ. ფილმი "ინ ვინო ვერიტას"
16.35 მულტფილმი "უფლისწული და მათხოვარი"
17.25 მხ. ფილმი "პოლონური ქორწინება" 19.30 "მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 ქართ. მხ. ფილმი "შერეკილები"
21.20 "ბორჯომის ფესტივალი - ხელოვნების ზეიმი"
22.35 მხ. ფილმი "ზნედაცემული ანგელოზები"00.35 მხ. ფილმი "შეტაკება ცაში"

აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 "Слово"
10.30 საბავშვო ფილმი "გარღვევა"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 სათავგადასავლო ფილმი "მუშკეტერები 20 წლის შემდეგ" 2სერია
13.30 კომედია "მკვლელობა გროს პოინტში"
15.10 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმი "პრინცესა გედი"
17.30 თრილერი "პატრიოტი"
19.30 დოკუმენტური ფილმი
20.15 მელოდრამა "ოკეანის ფსკერზე"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.30 "Новости в воскресенье"
22.50 "პრესდაიჯესტი"
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.30 "Новости в воскресенье"
00.50 მელოდრამა "გრაფი მონტე-კრისტო" 2 სერია
03.30 მხატვრული ფილმი "ოქროს ციებცხელება"
05.30 დოკუმენტური ფილმი

VII არხი

18.20 "ლა-ლა-ლა"
19.00 "აჩიკუდა"
19.20 "ავტომტრეკინგი"
20.00 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
20.40 "კინოკლუბი " - "შეცვლილი მემკვიდრეები"
22.00 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები
22.40 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
23.00 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
23.25 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატი.
01.15 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა

ОРТ

08.00, 11.00, 15.00 Новости
08.10 Сериал "Флиппер"
09.00 Сериал "Твинисы"
09.20 Служу России!
09.45 Дисней-клуб: "Тимон и Пумба"
10.10 Дог-шоу
11.10 "Непутевые заметки"
11.30 Пока все дома
12.05 "Властелин вкуса"
12.55 Комедия "НЯНЬКИ"
14.30 Дисней-клуб: "Утиные истории"
15.10 Хоккей. Международный турнир "Кубок "Балтики". Сборная России - сборная Чехии
16.40 КВН-2002. Суперигра. Сборные XX и XXI веков
19.00 Времена
20.35 Ежегодная церемония вручения народной премии "Золотой граммофон"
00.10 Кармадон. Декабрь
00.35 Бокс. Денис Бахтов - Ютас Болдуин
01.35 Триллер "НАПЕРЕГОНКИ СО ВРЕМЕНЕМ"
03.20 Реальная музыка

РТР

07.20 Худ.фильм "ИХ ЗНАЛИ ТОЛЬКО В ЛИЦО"
08.45 Сериал "Дракоша и компания"
09.10 Русское лото
10.00 "ТВ Бинго-шоу"
10.35 Местное время. Вести-Москва. Неделя в городе
11.15 Утренняя почта
11.50 "Городок". Дайджест
12.20 Худ.фильм "ПОЛОСАТЫЙ РЕЙС"
14.00 Киноистории Г.Скороходова
14.10 Парламентский час
15.00 Вести
15.20 Вокруг света
16.10 Диалоги о животных
17.10 "Создать "Группу "А". Док.сериал "Уфимские оборотни", 1 с.
18.05 Комната смеха
19.00 Комедия "БЛЕФ"
20.50 В городке
21.00 Вести недели
22.10 Специальный корреспондент
22.35 Бенефис "Е. Шифрин и его приятели"

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი
ცხადდება მიღება მოსამზადებელ ჯგუფებში

V-VI-VII-VIII-IX კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ ESM-თბილისის სკოლა- ლიცეუმში..
მეცადინეობა ჩატარდება მათემატიკასა და უცხო ენაში - კვირაში 3-ჯერ 15 საათიდან. სწავლება დაიწყება 15 იანვარს.

განცხადებები მიიღება ყოველდღე 9^30 -დან 15^00 -საათამდე.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა-ლიცეუმი, 877 425286.

ფილარმონიის დიდი
საკონცერტო დარბაზი
25.26.27.28.29
დეკემბერი
საახალწლო
კონცერტი
დასაწყისი 18 საათზე
ჯორჯია ონლაინი
Pepsi 101 farmavita 24 საათი

Visage

ესთეტიკური
კოსმეტოლოგიის
ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და
ამიერკავკასიაში მალალი ტექნო-
ლოგიების პროფესიულ პროგრამას
"Danne Montague-King"

მიკროკრისტალურ დერმოგრაზიას
"Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელე-
ქტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა,
პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება,
ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი,
ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები,
კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

DERTOUR-ი გთავაზობთ

DERTOUR-ის წარმომადგენლობა საქართველოში LPS-ის ტურისტული ბიურო გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტურებს ნებისმიერ კონტინენტზე, სასტუმროების დაჯავშნა ყველაზე იაფ ფასებში ადგილზე ვაუჩერის გაცემით, Club Med-ის კურორტები, Disnay Land, კრუიზები გემით - წყნარ და ატლანტის ოკეანეებში, კარიბისა და ხმელთაშუა ზღვაში, ევროპის მდინარეებზე, მანქანის დაქირავება ევროპის ნებისმიერ ქალაქში, საზამთრო ტურები ალპებში ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი. ტურები ახალდაქორწი-ნებულთათვის, ასევე LUFTHANSA-ს ავიაბილეთები ევროპის ქალაქებიდან. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით, რუსეთის და ევრო ვაზები.

DERTOUR

მისამართი: გამსახურდიას 24/2;
Tel: 91-24-24; Tel/Fax: 25-16-47;
E-mail: lps@access.sanet.ge

საგაზეთო ქაღალდი
ფასდაკლებით

შ.პ.ს ენ-ჯი-სი
გთავაზობთ
საგაზეთო ქაღალდს რუსეთიდან

საშობაო ფასდაკლება
15 იანვრამდე
ფასი -580$-მდე

ტელ: 38 86 79 53 76 30 899 50 92 99

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

[illegible]

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"[illegible]" [illegible] ([illegible]), [illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible] [illegible]. "[illegible]" [illegible] "[illegible]" [illegible] - [illegible], [illegible]. [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] "[illegible]" [illegible], [illegible], [illegible] [illegible] [illegible], [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
[illegible] (3) [illegible]
[illegible].

რუსკა ამაშუკელი გამარჯვებული ნახევარფინალისტი

გაზეთი "24 საათი" და მოდელების საგანგებო "იმიჯ-სენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს

მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ
15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

კანდიდატების ფოტოები განთავსდება გაზეთ "24 საათში" 6 დღის განმავლობაში და კითხვის ბოლოს ხმების შემაჯამებელი მეშვეობით კითხვის მაყურებელი ან ჟურნალისტი, შემდეგ ჟურნალისტებისგან გამოვლინდება გამარჯვებული "მის ფოტო მოდელი 2002". კონკურსში გამთავლისწინებელია შემდეგი ნომინაციები

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო სასურათო კოსტუმი

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მოგვაკითხეთ მისამართზე ვაჟა ფშაველას 45, 90-15 საოთხში, მოდელების საგანგებო "იმიჯ-სენტრი", ტელ. 33 69 11